# საერთო გაზეთი

№10 (691)
ოთხშაბათი
29 მარტი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.




## ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ არ ვართ ომისთვის განწყობილი მთავრობა!

ჩვენ არ ვართ ომისთვის განწყობილი მთავრობა, მათი სურვილი იყო, საკაშვილი ყოფილიყო ხელისუფლებაში, რომელიც ომს დაიწყებდა რუსეთის წინააღმდეგ და შეუერთდებოდა უკრაინას და საქართველოს ჩართავდა ომში, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში განაცხადა, სადაც ინტერპელაციის წესით დეპუტატების შეკითხვებს პასუხობდა.

ომის დაწყების დღიდან და მანამდეც, იყო არაერთი მცდელობა, ე.წ. მეორე ფრონტის გახსნის და საქართველოს ომში ჩაბმის. რომ თვითონ ეს ფრაზა „მეორე ფრონტი“ გაჟღერდა უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის მხრიდან. ბატონი დანილოვი გამოვიდა, რომელმაც პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მათი სურვილი, მიზანი იყო საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა. აქვე დაამატა, რომ მათი მიზანი, ამოცანა იყო რუსეთის ყურადღების გადატანა სხვა ქვეყნისადმი, სხვა რეგიონის მისამართით. ისიც აღნიშნა, რომ არა მხოლოდ უკრაინელი ქალები და ბავშვები უნდა იღუპებოდნენ, არამედ, ამ ომის შედეგები უნდა იგრძნონ სხვა ქვეყნებმაც. ეს არის შინაარსი ძალიან მოკლე, იმ გამოსვლის, რომელიც ჩვენ ყველამ, მთელმა საზოგადოებამ მოისმინა.



### ნინო ჯღარკავა: სანამ ნაცები ერთიანად არ ამოიძირკვებიან, ქვეყანაში სიტუაცია არ დაწყნარდება

2012 წელს, წითელ ხიდზე რომ გარბოდნენ ჩემოდნებით, ყველას გვახსოვს. როგორც კი გამოცხადდა კოჰაბიტაცია და დარწმუნდნენ, რომ მათ არავინ შეეხებოდა, უკვე თვითონ დაგვესხნენ თავს.

### ედიშერ გვენეტაძე: ჩვენ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ, რათა გადავრჩეთ!

ევროპის პოლიტიკური ბიუროკრატია დალპა! დღევანდელი ევროპარლამენტი რასაც კადრულობს, ეს არც ეკატერინა ფურცევას გაუკეთებია, არც მიხეილ სუსლოვს, არც კონსტანტინ ჩერნენკოს...





### დიმიტრი ლორთქიფანიძე: სამშობლოს ღალატის ანატომია

2005 წლიდან კვალის გასუფთავება იწყება. ამ ინსტიტუტში უნიკალური რუკები ინახებოდა, სადაც ჩვენი ტერიტორიები საქართველოს მფლობელობაში იყო, რაც ჰეიდარ ალიევსა და შევარდნაძეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც ჩაიდო. ეს რუკები პირწმინდად განადგურდა.

### სოსო არჩვაძე: ქვეყანაში სამუშაო ადგილები იზრდება...

2021 წელს საქართველოში რუსები შემოსული არ იყვნენ, მაგრამ მაშინაც ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა. მიმდინარე წლის იანვარში რუსების მასშტაბური შემოსვლა არ დაფიქსირებულა, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა 8%-ით გაიზარდა.



## როდესაც ორი აქლემი ჩხუბობს...

### ომარ გოცაძე: ვაიექსპერტების ბუმი საქართველოში

### ხელისუფლება ჩანერგილი „საბოტაჟნიკებისგან“ უნდა გაიწმინდოს!

### სიძინპინი: მომავალ მსოფლიოში საუკუნოვანი ძვრებია მოსალოდნელი



# ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ არ ვართ ომისთვის განწყობილი მთავრობა!



ამის შემდეგ ჩვენ კარგად გვახსოვს განცხადებები უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების. ჩვენ არ ვართ ომისთვის განწყობილი მთავრობა, მათი სურვილი იყო, სააკაშვილი ყოფილიყო ხელისუფლებაში, რომელიც ომს დაიწყებდა რუსეთის წინააღმდეგ და შეუერთდებოდა უკრაინას და საქართველოს ჩართავდა ომში. სულ ბოლო გამონათქვამს შეგახსენებთ ბატონი ვანო მერაბიშვილის, რომელიც არის არაფორმალური მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“. მან თქვა ერთ-ერთ უკრაინულ არხზე, რომ მათი მიზანი არის ხელისუფლების დამხობა, შეცვლა და შემდეგ ომის დაწყება რუსეთის წინააღმდეგ. ეს არის ის სიტყვები, რომელიც ბატონმა მერაბიშვილმა თქვა საჯაროდ. ეს არის მტკიცებულებები ძვირფასო მეგობრებო, მე ფაქტებს შეგახსენებთ მხოლოდ.

●

„რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ქალბატონმა აქუბარდიამ სწორედ აღნიშნა, ჩვენი ქვეყნის 20% არის ოკუპირებული და ჩვენი ქვეყნის ისტორიულ მიწებზე დგას ოკუპანტი ქვეყნის ჯარები. რეალური საფრთხე დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე არის სწორედ ის გეგმა, შეთქმულება, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არსებობს, ეს არის ე.წ უკრაინიზაციის გეგმა, ე.წ მეორე პოლიგონის გახსნის და მეორე ფრონტის გახსნის გეგმა. სამწუხაროდ, უკრაინის ხელისუფლების მიერ გაცხადებული მიზანი პირდაპირ კორელაციაში და კოორდინაციაში მოდის, თანხვედრაში მოდის, — „მეხუთე კოლონის“ მიზნებთან, მათ ზრახვებთან, მათ გეგმებთან, მათ ქმედებასთან. ქალბატონმა თეონამ შემახსენა და მომიწოდა, რომ მესაუბრა ქვეყნის შიგნით მოქმედ მტრულ ძალებზე. მაშინ ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან მიამიტი, რომ იმ საფრთხეებზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას, ამ საფრთხეებზე თვალი დავხუჭოთ და არ ვისაუბროთ.

●

დღეს არის ურთულესი ვითარება მთელს მსოფლიოში. ასეთი გამოწვევების წინაშე ევროპა, მთლიანად მსოფლიო არ ყოფილა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. დღეს ჩვენი სამყარო იმყოფება მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე და ეს არ არის გადაჭარბებული საფრთხე. ჩვენ გვესმის, რომ ბირთვული ომის რიტორიკა დღითიდღე მატულობს, მძაფრდება და ასეთ ვითარებაში ჩვენი ხელისუფლების მთავარი საზრუნავი არის ჩვენი ქვეყნის გადარჩენა.

●

2021 წლის პირველ ოქტომბერს დაკავებულ იქნა უკანონოდ შემოსული, შემოპარებული ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი, რომლის ერთადერთი მიზანი იყო საქართველოში ე.წ. მეორე რევოლუციის მოხდენა, „მისი მიამიტური გათვლებით აქ უნდა მომხდარიყო რევოლუცია, სისხლისღვრა, ხელისუფლების დამხობა ძალადობრივი გზით, არჩევნების ჩაშლა. ეს პერიოდი ემთხვევა ზუსტად იმ პერიოდს, როცა, კარგად გახსოვთ, საუბრები უკვე დაწყებული იყო და ჩვენ სხვა ინფორმაციებიც გაგვაჩნდა ჩვენი პარტნიორებისგანაც, რომ მოსალოდნელი იყო უკრაინაში ომის დაწყება ნოემბერში, ან დეკემბერში, რომელიც რამდენიმე თვით გადაიწია ე.წ. რუსეთ-დასავლეთს შორის მიმდინარე კომუნიკაციის გამო. ეს პერიოდი შემთხვევით არ მიხსენებია, პირდაპირ ემთხვევა სააკაშვილის შემოსვლას და მის განზრახვას, რომ მოეხდინა ხელისუფლების დამხობა, გადატრიალება და რევოლუცია.

ამას თუ დავუკავშირებთ შემდგომ უკვე რამდენიმე თვის შემდეგ უკრაინის ხელისუფლების გაცხადებულ მიზანს, მათ ქმედებებს, რომ მათი ამოცანა იყო სწორედაც საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა, მე ვფიქრობ, არც ერთ გონიერ ადამიანს ეჭვი აღარ შეეპარება და კითხვა აღარ დარჩება, უბრალოდ, რომ დიახაც, მიზანი სააკაშვილის შემოსვლისა იყო ნიადაგის და ფონის მომზადება, რომ საქართველოშიც დაწყებულიყო ომი. რა თქმა უნდა, ეს გეგმა ჩაუვარდათ, ჩვენი ქვეყნის შიდა და გარე მტრებმა წააგეს.

●

„ასევე შეგახსენებთ ევროპარლამენტის ზოგიერთი წევრის ე.წ. წამახალისებელ განცხადებებს. მაშინ, როდესაც ძალადობრივი ჯგუფები თავს ესხმოდნენ პოლიციას, ესროდნენ მოლოტოვის კოქტეილებს, ქვებს და ა.შ. ჩვენ გვესმოდა მოწოდებები პირდაპირ ევროპარლამენტის ზოგიერთი წევრისგან, რომ ახლა არის დრო, მათი თქმით, ამ რეჟიმის დამხობის, შეცვლის და ა.შ. ეს გეგმა, რა თქმა უნდა, ჩავარდა და ისევ წააგეს ჩვენი ქვეყნის მტრებმა.

გეგმა რჩება ისევ გეგმად, საფრთხე იმისა, რომ ქვეყნის შიგნით და გარეთ მყოფი მტრული ძალები და ე.წ. მეხუთე კოლონა საქართველოში შეეცადონ დესტაბილიზაციას და გადმოიტანონ ომი, არსად არ წასულა- მტრულ ძალებს დასახული მიზნის მისაღწევად რამდენიმე მცდელობა ჰქონდათ, მათ შორის

**ევროპული პერსპექტივის მინიჭებით ყოველგვარი სპეკულაცია და ვარაუდი იმის თაობაზე, თუ სად დგას საქართველო, მოიხსნა; ევროპამ ხმამაღლა თქვა, რომ საქართველოს ადგილი არის ევროპაში და რომ ქვეყანა გახდება ევროკავშირის წევრი**

იყო კანდიდატის სტატუსის არმიცემა, თბილისში გამართული აქციები სახელწოდებით „შინ ევროპისკენ“ და ორიოდე კვირის წინ, 7-8 მარტს გამართული ძალადობრივი აქციები, სადაც აქციის მონაწილე დესტრუქციული ძალები პოლიციელების მისამართით „მოლოტოვის კოქტეილებსა“ და ქვებს ისროდნენ.

●

„დღეს რა თქმა უნდა, არ ჩერდება და არ შეცვლილა ეს მიდგომა. გეგმა რჩება ისევ გეგმად, არსად არ წასულა, დღესაც, სამწუხაროდ, არსებობენ ძალები, რომლებიც თვლიან, რომ საჭიროა ყურადღების გადატანა სხვა მიმართულებით, რომ მოხდეს ერთგვარი დაკომპენსირება და მეტი დროის მიცემა უკრაინისთვის, რომ მათ შეძლონ საკუთარი ძალების აღდგენა და კონტრშეტევების მომზადება. ასეთ გამოწვევად, ასეთ ადგილად რჩება საქართველო. ასევე რჩება მოლდოვა. ამის თაობაზე არაერთი ინფორმაცია, მათ შორის ანალიტიკური ცნობები არის გავრცელებული საჯაროდ უკვე, ღია წყაროებში. ამიტომ დღეს, საფრთხე იმისა, რომ ქვეყანაში გადმოიტანონ, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მყოფმა მტრულმა ძალებმა, შეეცადონ დესტაბილიზაციას და გადმოიტანონ ომი, არსად არ წასულა. ეს საფრთხე რჩება საფრთხედ

მესამე მცდელობა ე.წ კანდიდატის სტატუსის არ მიცემა. ძალიან მოკლედ ვიტყვი კიდევ ერთხელ, რომ ეს იყო რა თქმა უნდა, უსამართლო გადაწყვეტილება, ვინაიდან, თუ მათი მიდგომა არის, რომ დამსახურებაზე დაყრდნობილი გადაწყვეტილება ყოფილიყო, რა თქმა უნდა, საქართველო, პირველ რიგში, იმსახურებდა კანდიდატის სტატუსს. ჩვენ არავის არ ვედრებით, მაგრამ, ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ საქართველო წინ უსწრებს ბევრად, მოლდოვას, უკრაინას ყველა მიმართულებით, ჩვენი ქვეყნის შიგნით მოქმედი დესტრუქციული, ექსტრემისტული ძალების, შიდა მტრების, ე.წ. მეხუთე კოლონის და მათი მოკავშირე გარე ძალების გათვლა, ამოცანა იყო ხელისუფლების შეცვლა და აქ ე.წ. რევოლუციის მოწყობა. ეს გეგმაც ჩაუვარდათ ჩვენს შიდა თუ გარე მტრებს

და ბოლო მცდელობა, შეგახსენებთ, ახლა უკვე რამდენიმე, ორიოდე კვირის წინ, 7-8 მარტს, ძალადობრივი აქციების ორგანიზებაში პირდაპირ იყო ჩართული ე.წ. მეხუთე კოლონა და მათ მიერ მართული ექსტრემისტული, რადიკალური, ანარქისტული ძალები, მათ მიერ კონტროლირებული მათი ახალგაზრდული ორგანიზაციები, „ნაცმოძრაობის“, „გირჩი მეტი თავისუფლების“, ე.წ ფრანკლინის კლუბის ანარქისტული მოძრაობები. იყო პოლიციაზე თავდასხმები, ვნახეთ „მოლოტოვის კოქტეილების“ , ქვების სროლა პოლიციის მიმართულებით და აშ.. ეს იყო ძალადობრივი აქცია. რომელიც ხელისუფლებამ თავისი გონიერებით და სიმტკიცით მოიგერია და ყველას სათანადო ადგილი მიუჩინა“.

●

რაც შეეხება კანდიდატის სტატუსს, ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოკლე ვადებში, შესრულდა ყველა ის ვალდებულება, რომლის შესრულებაც შესაძლებელი იყო იმ მოკლე ვადებში. შემდეგ, რა თქმა უნდა, რამდენიმე კანონპროექტი გაიგზავნა ვენეციის კომისიაში, ახლა მივიღეთ, პარლამენტი ამის შესაბამის ცვლილებებს განხორციელებს და ჩვენი მხრიდან ყველა სამუშაო იქნება დასრულებული.

●

„აქვე მინდა ყველას შევახსენო, რომ პირველი განსაზღვრული პრიორიტეტი და პირობა არის პოლარიზაციის დასრულება, პოლარიზაცია, რომელიც ნებისმიერ დემოკრატიას ახასიათებს, ეს არის ამერიკა, ევროპის ნებისმიერი ქვეყანა, ყველგან არის პოლარიზაცია. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა არ და ვერ იქნება გამონაკლისი. კითხვა დავუსვათ საზოგადოებას, ჩვენს ოპოზიციას თუ რას აკეთებს ოპოზიცია პოლარიზაციის შესამცირებლად? ჩვენ მათი მხრიდან ვნახეთ მხოლოდ ბოიკოტი, საბოტაჟი, პირდაპირი ხელის შეშლა, რომ ქვეყანამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და ქვეყნის დესტაბილიზაცია, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ჩვენი ხალხის ინტერესებს. ჩვენ რა თქმა უნდა თავიდანვე არ ვეთანხმებოდით ჩვენი ევროპელი პარტნიორების გადაწყვეტილებას. მე მათ პირადად ვუთხარი ძალიან ბევრჯერ, რომ ეს იყო შეცდომა, რომ საქართველოს არ მისცეს კანდიდატის სტატუსი ისევე ავანსად, როგორც ეს მისცეს უკრაინას და მოლდოვას. ვინაიდან ჩვენი პროგნოზით და ეს პროგნოზიც სახეზეა და გაცხადდა, ახლა, რომ პოლარიზაცია არა თუ დასრულდებოდა, არამედ მოიმატებდა ქვეყანაში.

ჩვენ რომ შევხედოთ ერთი წლის განმავლობაში შემცირდა თუ არა პოლარიზაცია, ალბათ, ვერავინ დაგვეთანხმება, რომ ეს ასე მოხდა. პირიქით, ჩვენ ვნახეთ ამის შემდეგ დესტაბილიზაციის მცდელობები, შარშან ივნისის აქციები, ახლა უკვე მარტის აქციები, პოლარიზაციამ მოიმატა,ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა, არ მიიღეს მათ მონაწილეობა ამ 12 რეკომენდაციისთვის შექმნილ სამუშაო ჯგუფებში, თუ ევროპას და ჩვენს ევროპარლამენტარებს და ევროპელ კოლეგებს რეალურად სურთ პოლარიზაციის დასრულება, მათ უნდა მიანიჭონ კანდიდატის სტატუსი საქართველოს. ეს მოხსნის ყოველგვარ კითხვებს, ყოველგვარ სპეკულაციებს, დაასრულებს მათ ამ დესტრუქციულ და რადიკალურ მოქმედებებს და რეალური მიზეზი აღარ დარჩება ჩვენს ექსტრემისტულ ოპოზიციას, რომ რაიმე ბრალი წაუყენონ ჩვენს ხელისუფლებას. ეს არის რეალობა, თუ გვინდა, რომ ამ რეალობაზე ვესაუბროთ ჩვენს ხალხს“.





# ჩვენ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ, რათა გადავრჩეთ!

## 7-8 მარტს განვითარებული მოვლენები სახელმწიფო გადატრიალებისთვის ნიადაგის მოსინჯვა იყო

*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, პრემიერ-მინისტრი ინტერპელაციის წესით პარლამენტში დაიბარეს. როგორ შეაფასებთ მის გამოსვლას?**

— ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ: ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა ნამდვილად საეტაპო მნიშვნელობის იყო. მან მოვლენები ზუსტად ისე შეაფასა, როგორც რეალურად არის. მან თავის გამოსვლაში ყველას — მტერს თუ მოყვარეს, მკაფიოდ უთხრა: გვსურს, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო. მან სავსებით სწორად აღნიშნა, რომ სამყარო მესამე მსოფლიო ომის ზღურბლზეა. მეტიც, ჩემი აზრით, მესამე მსოფლიო ომი უკრაინის ტერიტორიაზე უკვე მიმდინარეობს. ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული სახელმწიფო უკრაინიზაციას მაქსიმალურად უნდა მოერიდოს. ყველა ვხედავთ, რომ უკრაინა, როგორც სახელმწიფო, განსაკუთრებით კი მისი აღმოსავლეთი ნაწილი, განადგურებულია. ჩNN -ის ცნობით, დაღუპულია 270 ათასამდე ადამიანი, ადგილნაცვალია 20 მილიონამდე პირი, უკრაინის ეკონომიკის 35% განადგურებულია. ეს უპრეცედენტო ციფრებია. ჯერჯერობით, ომს დასასრული არ უჩანს

ამ მოვლენების საქართველოში გადმოტანის მომხრეა ჩვენს ქვეყანაში არსებული მეხუთე კოლონა, რომელსაც უცხოეთში არსებული უბნელესი ძალები კვებავენ და უკრაინის ომზე დიდ გათვლებს აკეთებენ. პრემიერმა აბსოლუტურად სწორი აქცენტები დასვა და მკაფიოდ დააფიქსირა: არავინ იფიქროს საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე გამრუდებულად, თორემ მისი ქმედება ძირშივე მკაცრად, კანონის შესაბამისად აღიკვეთებაო. პრემიერის სიტყვაში იყო მტკიცე რწმენა იმისა, რომ საქართველო ღირსეულად გაუძლებს მიმდინარე ომისა და გლობალური პოლიტიკის გამოწვევებს. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ბოლო პერიოდში, უკვე რამდენჯერმე ვიხილეთ. სრულად ვიზიარებ პრემიერის მოსაზრებას, რომ სააკაშვილი საქართველოში შემოაპარეს. დიახ, იგი აქ მარტო თავისი ჭკუით არ შემოსულა. მის უკან დგანან ე.წ. მამები, პატრონები, რომლებიც დღეს თავგადაკლულნი იბრძვიან, რათა მიშა ქვეყნიდან გაიყვანონ. რატომ? — მათ ეშინიათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს სააკაშვილი პირს მოაღებს, მის „პატრონებს“ დაასახელებს და იტყვის, თუ რა მიზეზით შემოაპარეს საქართველოში.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: **შვიდ-რვა მარტს განვითარებული მოვლენები სახელმწიფო გადატრიალებისთვის ნიადაგის მოსინჯვა იყო**. დამისახელეთ ერთი უცხო ქვეყნის ელჩი მაინც, რომელმაც პოლიციელებისა და სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული ვანდალური ქმედებები დაგმო. ამ დროს საუბრობენ იმაზე, თითქოს აქ მედიის თავისუფლებაა შეზღუდული. ეს ხომ სასაცილოა. აქციაზე ერთი ადამიანიც რომ დაღუპულიყო, წარმოგიდგენიათ, რა ამბავს ატეხდნენ ჩვენი „დაუძინებელი მეგობრები“. მათ ინტერესში საქართველოში არეულობის მოწყობა და ხელისუფლების შეცვლაა, რათა ნაცები, ჭიჭე ვაშაძეები, პატიკო მანჯგალაძეები, რუსეთის, კრემლის კმაყოფაზე მყოფი ლიაკა ხოშტარიები და სხვა მამაძაღლები კვლავ ქვეყნის სათავეში დააბრუნონ, რათა შემდგომ საქართველო ომში ჩააბან. შვიდი-რვა მარტის მოვლენები თეთრი ძაფით ნაკერი იყო — ნათლად გამოჩნდა, რა ძალები იდგნენ ამ ყველაფრის უკან. პირდაპირ ბრალს ვდებ უცხოეთის სახელმწიფოებს! როგორ შეიძლება, ამერიკის კონგრესზე შეტევა დანაშაული იყოს, ხოლო საქართველოს საკანონმდებლო ორგანოზე თავდასხმა — დემოკრატიის გამოხატულება! აქ არცერთ სამართალდამცავს ხელკეტიც კი არ ჰქონია. ჩემი აზრით, პირველ რიგში, ის პროფესორ-მასწავლებლები უნდა დაისაჯონ, რომელთაც მშვენივრად იცოდნენ, რომ „უცხოური გავლენის აგენტების გამჭირვალობის შესახებ“ კანონი ამერიკული იყო და არა რუსული. ისინი შეგნებულად ატყუებდნენ ახალგაზრდობას, რათა სახელმწიფო გადატრიალება მომხდარიყო და ხელისუფლებაში ის ძალა დაბრუნებულიყო, რომელიც საკუთარი მამულის, ენისა და სარწმუნოების წინააღმდეგია.

პრობლემა ისაა, რომ ჩვენი განათლების სისტემა დაღუპვის პირასაა. ამ უბედურებას ლომაიამ ჩაუყარა საფუძველი. ეს ბაკქანალია დღემდე გრძელდება. ლომაიასეულმა რეფორმამ ქართული ეროვნული სულისკვეთება მთლიანად წაშალა.

**— სი ძინპინი რუსეთში ჩავიდა. თქვენი მოსაზრებით, მსოფლიო არქიტექტურის გადალაგება იწყება?**

— დიახ, დიდი გეოპოლიტიკური ტექტონიკური ძვრები ხდება. ეს, პირველ რიგში, სწორედ სი ძინპინის მოსკოვში ვიზიტით გამოიხატება. საოცარი რამ მოხდა. ხომ გაგიგონიათ: თაგვმა თხარა თხარაო, კატა გამოთხარაო. ასე დაემართა დასავლეთსაც — იქამდე მივიდა, რომ რუსეთ-ჩინეთ-ირანის მყარი კავშირი ყალიბდება და არავინ იცის, პროცესები როგორ განვითარდება. ეს შემთხვევით როდი ხდება. მომავალში ალბათ, მსოფლიო მულტიპოლარული გახდება...

**— დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები ერთი მეორეს მიყოლებით ჩამოდიან საქართველოში. რას უკავშირდება მათი ვიზიტები?**

— ეს სწორედ ჩვენი ხელისუფლების დაბალანსებული პოლიტიკის შედეგია. ისმის კითხვა: გახურებული ომის დროს ჩვენთან რატომ ჩამოდიან? იმიტომ, რომ საქართველო სჭირდებათ! ბერბოკის როყიო განცხადებები იმაზე მიანიშნებს, რომ ევროპას ჩვენი ხელისუფლება არ მოსწონს, რადგან ის ბალანსირების პოლიტიკას ინარჩუნებს და „დაუძინებელ მეგობრებს“ ყველაფერზე თავს არ უქნევს, ასე რომ მოვქცეულიყავით, დღეს საქართველო აღარ იარსებებდა.

დიდი ბრიტანეთის, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების ჩამოსვლა იმის დასტურია, რომ საქართველო თავის ფუნქციას იძენს და მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე კიდევ ფეხს იკიდებს. ჩვენ ხომ აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ქვეყანა ვართ, რომელზეც სავაჭრო გზები გადის.

**— ბერბოკი პრეზიდენტს შეხვდა. ზურაბიშვილმა განაცხადა: კანდიდატის სტატუსზე კიდევ ერთი უარის თქმას საქართველო ვერ გაიგებსო...**

— სალომე ზურაბიშვილს მე პრეზიდენტს არ ვუწოდებ. მთელ საზოგადოებას, „საერთო გაზეთის“ მკითხველს დიდ ბოდიშს ვუხდი იმის გამო, რომ მას ხმა მეც მივეცი. იგი საქართველოში უცხო ქვეყნების რეზიდენტი და მათი ინტერესების გამტარებელია.

კანდიდატის სტატუსი ჩვენთვის არაფრისმთქმელია. ეს მხოლოდ ერთ რამეზეა გათვლილი, რომ ოპოზიციამ ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს და სახელმწიფო გადატრიალება მოახდინონ.



**— 2024 წელს არჩევნებია როგორც ჩვენთან, ისე აშშ-სა და ევროპარლამენტშიც...**

— შექსპირი ამბობს: დანიის სამეფოში რაღაც დალპაო. მე ასე ვიტყოდი: ევროპის პოლიტიკური ბიუროკრატია დალპა! დღევანდელი ევროპარლამენტი რასაც კადრულობს, ეს არც ეკატერინა ფურცევას გაუკეთებია, არც მიხეილ სუსლოვს, არც კონსტანტინ ჩერნენკოს... ევროპარლამენტარები პირდაპირ გვეუბნებიან, ჩვენი თამაშის წესებით უნდა ითამაშოთო. ჩვენ ჯერ ევროკავშირის წევრი არ გავმხდარვართ და უკვე გვაიძულეს, „უცხოური გავლენის აგენტების გამჭირვალობის შესახებ“ კანონი უკან გაგვეწვია. ევროკავშირს აშშ განაგებს. აშშ-ის ელჩმა ჩვენს პარლამენტარებს პირდაპირ მიუთითა, თითი წითელ ღილაკს მიაჭირეთო. ასეთი რამ რუსეთის „ნამესტნიკებსაც“ არ უკადრებიათ. ევროკავშირის წევრები რომ გავხდებით, მერე რაღას გვიზამენ?!

საქართველომ საკუთარ თავზე უნდა იზრუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაღუპად ვიქნებით განწირულნი. ამ კუთხით გასათვალისწინებელია მსოფლიო გადანაწილების პროცესი, რაშიც უკვე დაუფარავად ჩაერთო ჩინეთიც. სი ძინპინის ვიზიტის დასრულებიდან მეორე დღესვე, მედვედევმა განაცხადა: თუ საჭიროა, კიევამდე, ლვოვამდეც ჩავალთ, ოღონდ, ეს საზიზღარი ინფექცია მოვიცილოთო. ჩვენ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ, რათა გადავრჩეთ! აი, რა არის მთავარი.

ნაცები პარტიას პანტაპუნტით ტოვებენ. ხაბე პატარა მჩხავანა კატაა — რასაც კეზერაშვილი ავალებს, იმას ჩხავის. ნაცები ისტორიის სარბიელიდან ნელ-ნელა გაქრებიან. მათი არსებობით ის ძალები არიან დაინტერესებულნი, რომლებიც გვსაყვედურობენ: თქვენთან დემოკრატიის უკუსვლაა, სიტყვის თავისუფლება იზღუდებაო და ა.შ. როგორც კი ამ ძალებისგან მხარდაჭერას დაკარგავენ, შარშანდელი თოვლივით გაქრებიან. მითხარით, რით განსხვავდება კუბილიუსი, ფოტიგა, კრამონი, ჩერნენკოს, ბრეჟნევის, ხრუშოვის ან გორბაჩოვისგან? — არაფრით, ხომ. ამიტომ, **რაც საბჭოთა კავშირს დაემართა, ევროკავშირსაც იგივე ელის**, თუ ძირეულ ცვლილებებს არ განახორციელებს და ეს კავშირი არ გაჯანსაღდება. საოცარი კონტრასტია: ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი გვეუბნება, ევროკავშირში გაწევრიანდითო, მეორე მხრივ, თავად ამ კავშირიდან გამოვიდა. „რუსული კანონის“ გამო ერთი ამბავი დაგვაწიეს, ამ დროს თავად ინგლისს, კანადას აქვს იგივე კანონი. ახლა სახალხო პარტიას ეს კანონი ევროკავშირში განსახილველად შეაქვს! მათ წარმოდგენაში ჩვენ კოლონია ვართ და დასავლეთის თითის დატკაცუნებაზე უნდა ვიაროთ. ასე არ მოხდება. როცა მკაფიოდ ვიტყვით, რომ ჩვენ ღირსება გაგვაჩნია, მერე დაგვაფასებენ. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. პრემიერმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ჯერ ქართველი ხალის ინტერესებს გაითვალისწინებს და მერე სხვისას, რაც ქართველ საზოგადოებაში მომავლის იმედს აჩენს და ჩემს ხალხთან ერთად ამას მეც მივესალმები!



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სანამ ნაცები ერთიანად არ ამოიძირკვებიან პოლიტიკური ველიდან, ქვეყანაში სიტუაცია არ დაწყნარდება



**რამდენიმე დღის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ინტერპელაციის ფორმატში, პარლამენტში წარსდგა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებების მთავარ აქცენტებს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევები, რუსეთ-უკრაინის ომის საქართველოზე გავლენა, მეორე ფრონტის გახსნის რისკი და საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პერსპექტივა წარმოადგენდა.**

**პრემიერ-მინისტრის გამოსვლა პარლამენტში „საერთო გაზეთთან“ ჟურნალისტმა, საინფორმაციო სააგენტო X news-ის მთავარმა რედაქტორმა ნინო ჯღარკავამ შეაფასა...**

— ვფიქრობ, რომ ჩვენ ახლა ბეწვის ხიდზე გავდივართ და ჩვენი ხელისუფლების მიერ არჩეული პოზიცია აბსოლუტურად სწორია როგორც რუსეთ-უკრაინის ომთან, ასევე ქვეყნის შიდა გამოწვევებთან მიმართებით. პრემიერ-მინისტრის გამოსვლამ, მე პირადად, იმედი მომცა, რომ ძალიან მალე ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

როგორც იქნა, წლების შემდეგ გადავედით მხილებაზე, რადგან უკვე აღარ შეიძლება კონკრეტული ფაქტების მიჩქმალვა იმ ადამიანების შესახებ, ვინც ქვეყანას ძალიან ბევრი ავნო და სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ დღემდე ბინძური მეთოდებით იბრძვის.

დიდხანს ყველაფერს ვპატიობდით რადიკალურ ოპოზიციას, იყო ორმაგი სტანდარტები: რაც მათთვის შეიძლებოდა, ხელისუფლების მომხრეებისთვის არ შეიძლებოდა, მათ ეპატიებოდათ, ჩვენ - არა. მთელი ეს წლები თავდაცვის რეჟიმში ვიყავით. ამჯერად კი **ირაკლი ღარიბაშვილმა ყველაფერს საბოლოოდ დაერქვა სახელი და თავდაცვის რეჟიმში ამჯერად ოპოზიცია აღმოჩნდა**. პრემიერის გამოსვლის შემდეგ შეიცვალა პოლიტიკური ველი და დღეს ვხედავთ, რომ ის ხმა, „გონორი“, რაც ჰქონდა ოპოზიციას, აღარ აქვს.

ესენი არიან ჩვეულებრივი ვირთხები, როდესაც ვირთხას კუთხეში მიიმწყვდევ, ის ხდება საბრალო და სოროს ეძებს. როგორც კი გარეთ გამოდის და არენაზეა, უკვე იკბინება... 2012 წელს, წითელ ხიდზე რომ გარბოდნენ ჩემოდნებით, ყველას გვახსოვს. როგორც კი გამოცხადდა კოჰაბიტაცია და დარწმუნდნენ, რომ მათ არავინ შეეხებოდა, უკვე თვითონ დაგვესხნენ თავს და ვირთხებივით მოსაგერიებელი გახდნენ.

— **სხდომა ამჯერადაც დაპირისპირებისა და ხმაურის ფონზე წარიმართა, რა დროსაც არც ირაკლი ღარიბაშვილმა დატოვა პასუხის გარეშე ოპონენტები. საინტერსეოა, რაში სჭირდებოდა მიშას გუბაზ სანიკიძე, რომ მასში, როგორც პრემიერმა ახსენა, 100 ათასი დოლარი გადაიხადა?**

— აქამდეც ყველამ ვიცოდით, ვინ იყო გუბაზ სანიკიძე და როგორ გაიყიდა. მთელი ცხოვრება ეს ადამიანი ებრძოდა მიხეილ სააკაშვილს. გვახსოვს მისი ყველა გამონათქვამი, თუკი რამ უპატიებელი არსებობს, ყველაფერი აკადრა მიშას, შემდეგ კი უცებ მის გულმხურვალე თაყვანისმცემლად გარდაისახა. რად უნდა კითხვა, რომ „გაიყიდა“, მაგრამ, როდესაც ამას უკვე ტრიბუნიდან ამბობს პრემიერი, რომელსაც, ალბათ, აქვს დამადასტურებელი ფაქტები, ვრწმუნდებით, რომ მოღალატე და გაყიდულია ეს ადამიანი.

გუბაზი, უკრაინაში მყოფ სააკაშვილს ღირებული კადრი ეგონა, რომელიც, მისი აზრით, შეძლებდა „პატრიოტულ მოტივებზე“ ხალხი აეზვირთებინა. ის კი, საუბედუროდ, არც „ნაცებმა“ მიიღეს და „ოცნებისგანაც“ გარიყული ხელისუფლებას და თუ ჩამოვიდოდა მიშა უკრაინიდან, აქ ხალხს დაახვედრებდა. რაც უკრაინაში გააკეთა მიშამ, რომ გაარღვია ვითომ ალყა და შევიდა საზღვარზე, იგივე სცენარის განმეორება იყო ჩვენთანაც დაგეგმილი, მაგრამ არ გაუმართლათ, რადგან ძალიან დროულად დაინიშნა ირაკლი ღარიბაშვილი. ახლა კეზერაშვილმა და მერაბიშვილმა სცადეს იგივე, მაგრამ ესეც ჩავარდა...

მართლა ვერაფრით ავხსენი გიორგი გახარიას მოვლინება

## თაკო ჩარკვიანი ცრემლმორეული მეხვეწებოდა, გადაეცი ირაკლი ღარიბაშვილს, რომ გვიყვარსო...

აღმოჩნდა. არ გამოადგა ეს ნაყიდი ნივთი სააკაშვილს. არც გუბაზს დარჩა უკან დასახევი გზა, მასში გადახდილი 100 ათასი დოლარი რამენაირად ხომ უნდა „გაეპრავებინა“!..

„ნაცების“ ამომრჩეველი ჩვეულებრივი სექტაა, რაც მიშამ შეიძლება „აპატიოს“ პოლიტიკურ ოპონენტებს, „ნაცსექტა“ არ აპატიებს, არ დაივიწყებს, მათ ახსოვთ გუბაზის ქმედებები და მათთვის გუბაზი მიუღებელია. ღამურაა ეს კაცი, მისი ადგილი პოლიტიკურ სანაგვეზეა.

— **ხშირად გულისტკივილით აღნიშნავთ ხოლმე, რომ ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ გუნდის სიკეთე ბევრმა ვერ დაინახა და ნდობა ბოროტად გამოიყენა. კონკრეტულად ვის გულისხმობთ ამ ადამიანებში?**

— საკმარისია უმადურობის მაგალითად პრეზიდენტი მარგველაშვილი, ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ყოფილი პრემიერი კვირიკაშვილი... აღარაფერს ვამბობ იმ „საოცრებაზე“, რაც გახარიამ ჩაიდინა. ეს იყო ყველაზე დიდი შოკი, როცა ერთ დილით გავიღვიძეთ და აღმოვაჩინეთ, რომ აღარ გვყავს პრემიერი-მინისტრი, თან ისეთ პერიოდში, როდესაც ნიკა მელიას დაკავებაზე იყო ლაპარაკი და მორიგი დესტაბილიზაციის მცდელობა ჰქონდა ოპოზიციას. ასეთ დროს, როცა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პირველი პირის განცხადებებს, დილა თენდება და ადამიანი გვეუბნება, რომ - მე წავედი, ანუ მე არ მინდა, რომ ეს ადამიანი დავაკავო და წავედიო! გახარიაც, ჩვეულებრივად, იყო გაყიდული. ჩემი ინფორმაციით, ის უკვე შეთანხმებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებთან, რომ დათმობდა ამ



ქვეყნის პირველ პირად, რომელსაც ბავშვობის მერე საქართველოშიც არ უცხოვრია, ცხოვრობდა მოსკოვში და რას აკეთებდა, არავინ იცის... მართლა ჰაერიდან არის მოსული მოწმენდილ ცაზე და შესაბამისი სახელიც შევარქვი „ვოზდუხა“.

— **ცოტა ხნის წინ სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ ნიკა გვარამიას შეწყალებას არ გამორიცხავს, თუმცა, შეიწყალებს თუ არა ის მიხეილ სააკაშვილს, ამაზე ჯერაც არაფერს ამბობს...**

— სალომე ზურაბიშვილი ადეკვატური ადამიანი რომ არ არის, ყველამ ვიცით! გვახსოვს, როგორ მოიქცა ის, როცა სააკაშვილმა ჩამოიყვანა და მინისტრად დასვა. როგორ წავიდა ოპოზიციაში. ზურაბიშვილს დიდხანს არ შეუძლია სტაბილურად ყოფნა, ეს მისი ხასიათის თვისებაა.

არ მგონია, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილის შეწყალება გარისკოს, რადგან იცის, რომ გარისკოს და შეიწყალოს კიდეც, მას ახალი ბრალი აქვს წაყენებული, ჯერ კიდევ სასამართლო პროცესი მიდის და არაფერი გამოვა.

— **კლინიკა „ვივამედი“ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დროულად შეფასებას მოითხოვს და მისი კლინიკაში დაყოვნების მიზეზს ველარ ხედავს. როგორ ფიქრობთ, მიშას ციხის საავადმყოფოში გადაიყვანენ?**

— რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ მას ძალიან მალე ციხეში გადაიყვანენ და ამ ფაქტთან შეგუება მოუწევს. ციხის საავადმყოფოშიც შეუძლია, შავი პური ჭამოს ნიორწასმული, თავისი კარაქით... იქ, ალბათ, უკეთესი პირობები ექნება, იმიტომ, რომ დედამისი ველარ შეუტანს საჭმელს, ციხის კვებაზე უნდა იყოს და წონაშიც მოიმატებს, მაგრამ ეს არ აწყობთ... ის იკვებება იმ კალორიებით, რაც გაწერილი აქვს ენდოკრიკოლოგების მიერ, რაც არ მოამატებინებს და არც მოკლავს.

სულელი არავინაა, ყველა დარწმუნდა იმაში, რომ გიული ალასანიამ პიარისთვის ჩამოიყვანა ექსპერტი ამერიკიდან, კარგადაც გადაუხადა, რის საფასურადაც, უნდა დაწერილიყო სტატიები მიშაზე. მათ კი ფული ჯიბეში ჩაიდეს, ჩამოვიდნენ, დახედეს „პაციენტს“ და წავიდნენ, თორემ ყველამ იცის, რომ კუჭის ბარიატრიული ოპერაცია აქვს მიშას გაკეთებული. ამ დროს პირველი ორი წელი მიდის კლება და თუ შიმშილობ, კიდევ უფრო იკლებ. ორი-სამი წლის შემდეგ კვლავ იმატებ.

— **რამდენიმე დღის წინ „ნაციონალურ მოძრაობა“ ხატია დეკანოიძემ დატოვა. როგორც გაირკვა, ამ ნაბიჯის გადადგმას არც ბაჩუკი ქარდავა და სხვა წევრები გამორიცხავენ... როგორ ფიქრობ, რატომ ტოვებენ პარტიას „ნაციონალები“?**

— ბაჩუკი ქარდავას კარგად ვიცნობ და სულ მიკვირდა, ადამიანი, რომელიც ოდესღაც გია ჭანტურიას გვერდით იდგა, როგორ აღმოჩნდა „ნაციონალების“ გვერდით? ქარდავას არც მომავალი აქვს პოლიტიკაში და არც წარსული ჰქონია, იმ კონკრეტული პერიოდის გარდა, ამიტომ წავა თუ დარჩება სადმე, რა მნიშვნელობა აქვს?!

რაც შეეხება სააკაშვილის ძმის ნაცოლარ თუ ნარძლევ დეკანოიძეს, მანაც პოზიციები დაკარგა. არც ლიდერია და აღარც სამეგობრო ჰყავს გვერდით... ლევან ხაბეიშვილის ახალ გუნდში კი თავისი თავი ვერ დაინახა... პაიკები არიან ეს ადამიანები და ვისაც პოლიტიკური მომავალი არა აქვს, ვურჩევ, სხვა საქმეს მიხედონ...

— **ხატია დეკანოიძემ აღიარა, რომ ვანო მერაბიშვილის დროს სისტემური დანაშაულებები ხდებოდა, რასაც თაკო ჩარკვიანი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მისმა ასეთმა საქციელმა „გაოცება და ღიმილი“ მოგვარა... რბილად რომ ვთქვათ, მის საქციელს არ ამართლებს, მით უფრო ახლა, როცა „მესამე პრეზიდენტი ციხეში კვდება“...**

— ყვავმა ყვავს უთხრაო... მაგათზეა ნათქვამი. თაკო ჩარკვიანი 2012 წელს კარდაკარ დადიოდა და ვანო მერაბიშვილის ჩადენილ სისასტიკეებზე ლაპარაკობდა. ეს ყველას გვახსოვს. ჩემთან პირადად მოვიდა თაკო, სამსახურში, 2013 წელს და ცრემლმორეული მეხვეწებოდა, ძალიან მიყვარს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი და გადაეცი, რომ გვიყვარს მე და ჩემს ოჯახსო... ასე რომ, ეს ორი გასვრილი ქალი ერთმანეთს რას მიაძახებს, ერისთვის ნაკლებად საინტერესოა, თაკო ჩარკვიანი არის ძალიან დიდი სირცხვილი!

ხატიას კი, დღეს რომ გაახსენდა ვანოს ჯალათობა, გუშინწინ, როცა კენჭს იყრიდა ავლაბარში მაჟორიტარ დეპუტატად, არ ახსოვდა? „ნაციონალური მოძრაობა“ მაშინ სუფთა იყო? მაგრამ საქმე ისაა, რომ ვანო მერაბიშვილის კლანს აღარ სჭირდება ესენი. **მერაბიშვილი რევოლუციურ გეგმაზე მუშაობს, ყოფილ ძალოვანებზე აქვს გათვლა**. ისინი ორიენტირებული პირდაპირ რევოლუციურ გეგმებზე არიან და ხატია მათ გეგმებში არ შედის.

ოპოზიცია უნდა იყოს ქვეყანაში, რა თქმა უნდა, მაგრამ უნდა იყოს კონსტრუქციული. გამოდიოდეს და აწყობდეს აქციებს, მაგალითად, იმაზე, რატომ გაძვირდა პური, ზეთი... რატომ ირღვევა ადამიანის შრომითი უფლებები კონკრეტულ ორგანიზაციებში და ა.შ... როგორც ხდება ცივილურ ქვეყნებში. ამაზე გვახსოვს ჩვენ მიტინგები? - არა, იმიტომ, რომ ეს საკითხები კონსტრუქციულია, მოგვარებადია, მათ კი არაფრის მოგვარება აწყობთ ამ ქვეყანაში: გამოდი, გადადექი, გადმოდექი, გადავანგრიოთ, დავლეწოთ, შევცვივდეთ... ეს არის მათი მეთოდები და იძულებული ხარ, იგივე ენაზე ესაუბრო, თორემ არცერთ ჩვენგანს არ მოგვწონს ის ენა, რითაც ზოგჯერ მათთან გვიწევს საუბარი. სანამ ნაცმოძრაობა ერთიანად არ ამოიძირკვება პოლიტიკური ველიდან, ქვეყანაში სიტუაცია არ დაწყნარდება.

— **მალე საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად საჭირო რეკომენდაციებზე შეფასებებს ელოდება. როგორ ფიქრობთ, ამჯერად მივიღებთ კანდიდატის სტატუსს?**

— როგორც აღვნიშნე, პრემიერის წარდგენა პარლამენტში იყო გარდამტეხი და ძალიან მნიშვნელოვანი დღე ქართულ პოლიტიკაში. მგონია, რომ ამას ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც სათანადოდ შეაფასებენ და ამჯერად უკვე კანდიდატის სტატუსსაც მოგვანიჭებენ.

**ნონა ქარქაშაძე**

„ჩემი პოზიციაა — ეს ომი მალე უნდა დასრულდეს, თუნდაც ახლავე, გონივრული მოლაპარაკების საფუძველზე. აშშ-ის პოზიციაა — არა, ამ ომის დასრულების ერთადერთი გზა პუტინის დამარცხებაა!

ჩემი აზრით, ეს არის როგორც არასწორი, ისე, სრულიად არარეალისტური. მე უკვე ბევრჯერ მივეცი რჩევა უკრაინელ ხალხს და მთავრობას, რომ არ მოხვედრილიყვნენ ამ მარიონეტულ ომში აშშ-სა და რუსეთს შორის, ვინაიდან, მათი ქვეყანა განადგურდებოდა და ეს არის ტრაგედია. მე ვუთხარი უკრაინელებს: შეხედეთ ავღანეთს — ეს ისაა, რასაც გინდათ დაემსგავსოთ? ოკუპაციის 15 წელი და განგრძობადი განადგურება? 20 წელი, ფაქტობრივად, ამერიკის შეჭრიდან. არ გააკეთოთ ეს! მთელი ჩემი ცხოვრება, აშშ „ეხმარება“ ლაოსს, კამბოჯას, ვიეტნამს, ერაყს, სირიას, ლიბიას. ეს რა დახმარებაა? რომელიც ქვეყნის განადგურებით სრულდება.

უკრაინელებს აქვთ უფლება, აირჩიონ ეკონომიკური მომავალი, პოლიტიკური მომავალი, მაგრამ არა სამხედრო მომავალი, ვინაიდან, სამხედრო მომავლის არჩევის დროს, როცა უკრაინელები ამბობენ, ჩვენი მომავალია აშშ-ის სამხედრო ბაზები უკრაინაშიო, ეს არ არის არჩევანი, რომელსაც უკრაინა თავისით აკეთებს — ეს არის საფრთხე რუსეთისთვის.

მე კატეგორიულად ვურჩევდი, მაგალითად, მექსიკის მთავრობას, რომ არ შეექმნათ სამხედრო ალიანსი ჩინეთთან. ეს არ არის არჩევანი, ეს იქნებოდა საფრთხე. თუ ერთ დღეს მექსიკა იტყოდა: ჩვენ მოვუსმინეთ აშშ-ს, ისინი ამბობენ, რომ თავისუფალი ხალხი ვართ და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ, ამიტომ ვირჩევთ ჩინეთს პარტნიორადო, — ჩემი პროგნოზი ამ შემთხვევაში იქნებოდა ის, რომ აშშ-ის შეჭრა მექსიკაში რამდენიმე წუთში დაიწყებოდა“, — ერთ-ერთ სლოვენიურ სატელევიზიო არხთან ინტერვიუში რუსეთ-უკრაინის ომზე საუბრისას განაცხადა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეფრი საქსმა.

მანვე განმარტა, რატომ აქვს აშშ-ს მსგავსი მიდგომა დანარჩენი მსოფლიოს მიმართ. მისი აზრით, 1992 წლიდან აშშ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელმა დომინანტურმა ჯგუფმა დაიჯერა, რომ აშშ არის მსოფლიოს ერთადერთი სუპერძალა, შესაბამისად, ის მართავს მსოფლიოს და ასეც უნდა გაგრძელდეს.



ჯეფრი საქსი

„მე ბევრჯერ მივეცი რჩევა უკრაინელ ხალხს და მთავრობას, რომ არ მოხვედრილიყვნენ ამ მარიონეტულ ომში აშშ-სა და რუსეთს შორის, ვინაიდან მათი ქვეყანა განადგურდებოდა და ეს არის ტრაგედია“

# როდესაც ორი აქლემი ჩხუბობს, მათ შორის მდგომი კოზაკი იჭყლიტება



სამწუხაროდ, საქართველოს საწინააღმდეგოს ჩასძახიან და რომ არა საქართველოს ხელისუფლების გონიერება, განვლილი ერთი წლის განმავლობაში, საქართველო არანაირი ფორმით აღარ იქნებოდა, არც ქართველებიანად და არც ქართველების გარეშე. უკრაინა დიდია ყოველმხრივ და იტანს ომის უბედურებას, პატარა საქართველოს ადგილზე კი მხოლოდ ორმოები დარჩებოდა, სადაც ამ გაზაფხულზე ქართული სისხლით ნაკვები ენძელები მაინც ამოვიდოდა...

როდესაც რუსეთის დუმამ 2023 წლის ბიუჯეტი და 2024-2025 წლების ბიუჯეტის პროექტი დაამტკიცა, არცერთ მათგანში არ იყო გაწერილი ომის ხარჯები. სოციალურ ქსელში ვიკითხე, მე ვერ ვხსნი ეს რას შეიძლება ნიშნავდეს და თქვენ რანაირად ახსნით-მეთქი? პასუხები არაერთგვაროვანი იყო, მაგრამ ერთი გამოვარჩიე: „ომი დასრულდა, მშვიდობის გეშინოდეთ“-ო! რატომღაც დავიჯერე...

დადგა 2023 წელი, გავიდა უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან ერთი წელი და მშვიდობისა არაფერი ეტყობა ამ დაგეგმილი ომის ქაოსს. ვისი ინტერესი ვისაშია, ვერ გაიგებ, პირიქით, მისი გახანგრძლივების სურვილი იკვეთება — ვიეტნამი და ავღანეთი მახსენდება. იქ და მაშინ თუ ამერიკა და საბჭოთა კავშირი „ჩხუბობდნენ“, ახლა და უკრაინაში აშშ-ის ფარქვეშ კოლექტიური დასავლეთი ებრძვის რუსეთს — არაფერი დიდი სხვაობა არ არის, ნაცნობი ხელწერაა!

არცთუ სახალისო ყოფილა იმ ომისთვის თვალ-ყურის დევნება, რომლის ერთი მხარე ის მეზობელია, რომელსაც ოკუპირებული აქვს შენი ქვეყნის 20%, ხოლო მეორე — მეგობარ ხალხად გამოცხადებული, ამ ომის დროს შეფარებული და ჩახუტებული.

თვალ-ყურის დევნება ვთქვი და მოვაყოლებ: სწორედ ამის გამოა, რომ უკრაინის ხელისუფლება ე.წ. დასავლეთთან და მათზე ფინანსურად მიბმულ ქართველ „ორღობის ევროპელებთან“ ერთად მტრულად განეწყო საქართველოს ხელისუფლებისა და მშვიდობისმოსურნე ქართველების მიმართ.

ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის თქმისა არ იყოს: „რომელი პოლიტიკური ძალა შეეცდება ხელისუფლების დამხობას მაშინ, როცა ურთულესი გამოწვევა შეიქნა ჩვენს რეგიონში, თან იმ ფონზე, როცა ქვეყნის 20% არის ოკუპირებული? — ეს გეგმა ჩაუვარდათ. ჩვენმა მტრებმა წააგეს!“ (ბატონმა პრემიერმა, ჯერჯერობით ღიად არ დაარქვა სახელები „ჩვენს მტრებს“, მაგრამ ესეც საკმარისია. ხალხმა მშვენივრად იცის, ვინ არის საქართველოს მტერი, ხოლო, რაც შეეხება მოყვარეს, სამწუხაროდ, არასდროს ჰყოლია...)

მშვიდობის მომხრე საქართველოს ხელისუფლებასა და საქართველოს მოქალაქეებს ათასგვარ იარლიყებს აკრავენ „ორღობის ევროპელები“, „პუტინის მონებიდან“ დაწყებული „რუსეთუმეებით“ დამთავრებული, ამ დროს კი, სწორედ თვითონ აკეთებენ რუსეთისთვის სახეირო საქმეს, მათზე ერთგული და უკეთესი „შემსრულებელი“ პუტინს არ ჰყავს!

რუსეთისთვის სასარგებლო ამ იდიოტებმა (პატრონ-ყმიანად) იქამდე მიიყვანეს საზოგადოების დიდი ნაწილი მხოლოდ რუსეთს მოაზრებენ დამცველად. თვითონ, რეალურად და შედეგობრივად რუსეთის უფასო აგენტები (არა მხოლოდ) და მისი ინტერესების ხელისშემწყობები საქართველოში გაჰყვირიან ყველაზე ხმამაღლა, მიზეზშედეგობრივად ააღორძინეს პრორუსული განწყობა, „რუსეთუმეებს“ კი უტიფრად სხვებს უწოდებენ!

საზოგადოების რომელი ნაწილის პოზიციით ეძლევა რუსეთს საქართველოში „გამოლაშქრების“ მიზეზი? — რა თქმა უნდა, მტრულად განწყობილის. ჰოდა, დააყენონ ერთი ადგილი, თუ თვითონ არ არიან რუსეთუმეები!

კახა კალაძემ გაახმოვანა მთავრობის პოზიცია: „ჩვენ მივესალმებით რუსეთთან თუნდაც პირდაპირ ფრენებს და თუნდაც უვიზო მიმოსვლას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვისო“ და შეუტიეს, „რამდენი პარასკევი გაქვთ კვირაშიო“? — მილიონამდე ქართველია რუსეთში და რა გასაკვირია, რომ მათ და მათი ოჯახის წევრებს ელემენტარულ დონეზე მაინც უნდოდეთ მშვიდობიანი ურთიერთობა რუსეთთან?

იმდენი ენისმიმტანი, რაც რუსეთს საქართველოში ჰყავს, მთელ დუნიაზე არ იქნება, შესაბამისად, ჯერჯერობით მაინც, სტაბილურად არააგრესიული პოზიცია უჭირავს რუსეთს საქართველოს მიმართ. სწორედ ამ რეალობის მიჩქმალვას ცდილობენ „ორღობის ევროპელები“ ისტერიის დონეზე აყვანილი რუსოფობიური გამოვლინებებით, ურაპატრიოტიზმითა და სნობური მედასავლეთეობით.

ვიღაცამ იკითხა: „ცივი გონებით მიპასუხეთ, რუსეთს რომ ამტყუნებთ, უკრაინის მიწების მიტაცება უნდაო, აგერ, ახლახან არ იყო, რუსეთის ტერიტორია რომ მისცეს უკრაინას (სხვა ქვეყნებისას აღარ ვამბობ) და რა, თქვენ არ გინდათ საქართველო ნიკოფსით დარუბანდამდის? — მე მინდა! ჩვენ არ გვაქვს ამის ძალა, მას აქვს და ითხოვსო“.

გინდ გაიცინეთ, გინდ — არა! დიმიტრი მედვედევი, რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რანგში, ძალზე მშვიდად გამოვიდა საახალწლოდ და განაცხადა, რომ რუსეთი საკუთარი ისტორიული მიწების დასაცავად იბრძვის: „რუსეთი უზარმაზარი და მდიდარი ქვეყანაა. ჩვენ არ გვჭირდება უცხო ტერიტორიები, ყველაფერი უხვად გვაქვს. ჩვენი მიწა ჩვენთვის წმინდაა. აქ ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, დღეს ჩვენი ხალხი ცხოვრობს და რომელსაც ჩვენ არავის მივცემთ. ჩვენ ვიცავთ ჩვენს ხალხს. ჩვენ ვიბრძვით ჩვენი მიწისთვის, ისტორიისთვის!

შეგვიძლია, რომ ყველა მტერი ცეცხლოვან გეენაში გავაგზავნოთ, მაგრამ ეს ჩვენი ამოცანა არ არის. ჩვენ გულში ვუსმენთ შემოქმედის სიტყვებს და ვემორჩილებით. ეს სიტყვები წმინდა მიზანს გვისახავს. ეს მიზანი ჯოჯოხეთის უზენაესი მმართველის შეჩერებაა, არ აქვს მნიშვნელობა, რა სახელს გამოიყენებ — სატანას, ლუციფერს თუ იბლისს, რომლის მისი მიზანი სიკვდილია, ჩვენი მიზანი — სიცოცხლე. მისი იარაღი ჩახლართული ტყუილია, ჩვენი იარაღი — სიმართლე. ამიტომ არის ჩვენი საქმე სამართლიანი. ამიტომაც გავიმარჯვებთ!“

„მეოთხე რაიხის“ შექმნა, პოლონეთის დაყოფა და ომი ევროპაში — აი, ის მოვლენები, რომელთაც 2023 წელს უნდა ველოდოთო, — აცხადებდა მედვედევი. ხალხი კი გაკვირვებული კითხულობდა, რას ასმევენ ასეთს, წესიერი, ნორმალური ადამიანი, ამ წინასაახალწლო დღეებში ასეთ რამეს უნდა ამბობდესო?

მედვედევი „ფხიზელი მთვრალი“ იყო თუ „გაგლეჯილი ფხიზელი“, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ რასაც ფიქრობდა, თქვა. ვიღაცისა არ იყოს, რუსეთი ისეთი ფსიქოტიპის ხილული აგრესორია, რომელიც არასდროს მოგეპარება ზურგიდან, პირისპირ ჩაგცხებს გულში ლახვარსო. მეორემ დაუდასტურა: კი, პწკენა-პწკენაში კი არ დააორსულებს დედოფალს, ძალადობით მიიღებს სასურველსო.

ჰოდა, თუ ვინმეს მშვიდობა უნდა, აი, ასეთ რუსეთს შეიძლება ასე უჩიჩხინო?!

დევიდ კრამერი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი და ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო ინსტიტუტის დირექტორი: „ვფიქრობ, პრეზიდენტ ბაიდენის უკრაინაში ვიზიტი უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო, ისტორიულიც კი. ეს იყო ძალიან კარგი სიგნალი აშშ-ის მხარდაჭერისა უკრაინის მიმართ. ამან აჩვენა დანარჩენ ევროპასაც, რომ აშშ დგას უკრაინის გვერდით. ვიმედოვნებ, პრეზიდენტი ბაიდენი შეცვლის თავის ფრაზას, „რამდენ ხანსაც საჭირო იქნება“, ფრაზით: „სანამ უკრაინა გაიმარჯვებს.“

შარშან სწორედ ამ დროს თქვა იენს სტოლტენბერგმა: რუსეთი რომ მივიღოთ ნატოში, ეს იქნება კონფლიქტის საუკეთესო გადაწყვეტაო. პუტინთან მეგობრობდა და იხუმრა, ალბათ. ახლა რა მნიშვნელობა აქვს, როცა სრულიად სხვა რამეს ამბობს ამ სიტყვების წარმოთქმიდან ერთი წლისთავზე „გარდიანთან“: „პუტინი უკრაინაში მშვიდობას არ გეგმავს, ამიტომ, დასავლეთი უნდა მოემზადოს კიევისთვის ლეტალური დახმარების კიდევ დიდი ხნის განმავლობაში მიწოდებისთვის; რუსეთი ემზადება უფრო ფართომასშტაბიანი ომისთვის; ზრდის სამხედრო ინდუსტრიულ წარმოებას და მიმართავს ისეთ ავტორიტარულ რეჟიმებს, როგორიცაა: ირანი, ჩრდილოეთ კორეა და სხვები და ცდილობს მეტი იარაღის მოპოვებას; ეს არის რუსეთის გამოფიტვის ომი“.

რა საინტერესო გადაწყვეტაა, აშშ რუსეთს ფიტავს უკრაინელების სისხლის დაღვრითა და მოკვდინებით?

ახლა კი გადმოდგა ბანზე და: „უკრაინის მიერ გამოყენებული საბრძოლო მასალის ამჟამინდელი მაჩვენებელი ბევრად აღემატება ჩვენი (ნატო-ს) წარმოების მაჩვენებელს, რაც ჩვენს თავდაცვის მრეწველობას ტვირთად აწვებაო.“ აღიარა,

9 გვ. →

# რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...




**(გაგრძელება, დასაწყისი „სგ“ N9 2023)**

რომელი აქცია იყო, რა გამახსენებს, მაგრამ მახსოვს, გადაკეთებული ხატები ჰქონდათ და ერთ-ერთი მომიტინგის დედამ წიგნები მიიტანა, შეშის გამოყენების უფლებას არ აძლევენ და საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილი წიგნები მაინც დაწვან, ცოტა გათბებიან, წიგნი მაინც აღარ სჭირდებათ, ამათ ცოდნა თავში აქვთო და „მოზრდილ შეშად“ ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ ამოაძვრინა ჩანთიდან... დედა ვნახეთ, მამა არ გვინახავს, შვილი გამონახული იყო...

გასულ წელსვე, ამჯერად სტუდენტთა საერთაშორისო ოლიმპიადიდან (მათემატიკის), სადაც მსოფლიოს 100 ქვეყნის სტუდენტები მონაწილეობდნენ, ჩვენმა ბიჭებმა 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი წამოიღეს — არც მათი ვინაობა იცის ვინმემ ვიწრო წრის გარდა. სანაცვლოდ, ფართო საზოგადოებამ იმ სტუდენტების გვარ-სახელები იცის, რომლებიც აი, ამგვარები არიან!

მარიამ გულედანი (ტექსტი უცვლელად): „ჰეი, მეგობრებო. ვიწყებთ იმ ლექტორების სიის შედგენას, რომლებსაც უნდა გავა....ინოთ უნივერსიტეტებიდან ილიაში მაგალითად ესეთია შალვა პაპუაშვილი. იმისთვის რომ სრული სია შევადგინოთ, გთხოვთ, კომენტარებში დაწეროთ ლექტორი, რომელი ჩვენი თარგეთი უნდა იყოს და ის თუ რომელ უნივერსიტეტში ასწავლის მადლობა (სასვენ ნიშნად გადაჯვარედინებული ხმლებია) დიდი ძალა გვაქვს და მივაწვეთ რა ბოლომდე და ყველა ქვეყნის მოღალატეს დედა მოვ...ნათ (გადაჯვარედინებული ხმლებია)“.

ოჯახიდან და განათლების სისტემის რეფორმიდან ეს გამოვიდა, გოგონა იმ ოჯახიდან, სადაც მამა, აჩიკო გულედანი ასე მეტყველებს და შვილი სიხარულით აზიარებს საქვეყნოდ მამის მიერ „ტკბილხმოვან“ პოზიციას (უცვლელად): „რუსულო ოცნებავ, თქვენი მოღალატე და რუსების მონა დედას შ...ცი“

დაუსჯელობითა და 1000 ლარით წახალისებული ახალგაზრდები ისე წახალისდნენ, რომ სტუდენტები ამჯერად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, ელიზბარ ელიზბარაშვილს დაუხვდნენ, ჯერჯერობით, მხოლოდ შეურაცხყოფა მიაყენეს — ლამაზად რომ ვთქვათ, მასზე მორალური და ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელეს. ეს მხოლოდ დასაწყისია!

დიტო სამხარაძე (13 მარტი, 2023 წ.): „მოკლედ, ასეთი ამბავია: დიმა ჩიქოვანი არის კეზერაშვილის ცოლის ძმა. კეზერაშვილი და მერაბიშვილი სხვა ტელევიზიებთან და ორგანიზაციებთან ერთად, დიმა ჩიქოვანის ხელით აფინანსებენ ორგანიზაციას „ნაბიჯი“, რომელიც აქტიურად ყოფილა ჩართული ბოლო დღეების მოვლენებში და მიბარებული აქვთ სტუდენტებისა და ლექტორების ბულინგის მიმართულება. როგორც მეუბნებიან, ამ ორგანიზაციაშია გაწევრიანებული ვინმე დათო ჩხობაძე, რომელიც დღეს აქტიურობდა ლექტორ ელიზბარაშვილისთვის პროვოკაციის მოწყობაში და ამის შემდეგ მისცა ინტერვიუები ტელევიზიებს, რისთვისაც ჩიქოვანმა დღესვე გადაურიცხა 1000 ლარი, ოღონდ, თან აგინებდა ამ ორგანიზაციის სტუდენტებს, მაგათი თითო განცხადება 1000 ლარი გვიჯდებაო. რას კადრულობენ, ხვდებით? ბოლშევიკურ თუ ფაშისტურ განცხადებებს სთხოვენ და ფულს უხდიან ამაში. თუ არასწორს ვწერ რამეს, გამოაქვეყნეთ დღევანდელი გადარიცხვები!!!“

დასახელდა „საქართველოს ბანკი“, სადაც გადირიცხა აღნიშნული თანხა. სტუდენტმა ჩხობაძემ თავდაჯერებულად განაცხადა ტელეკამერის წინ: „მე არ ვაპირებ, ცხადია, გამოვაქვეყნო ჩემი ჩარიცხვები, რადგან დიტო სამხარაძისგან, ასეთი ნომენკლატურული პიროვნებისგან ბრალდებაზე პასუხიც არასერიოზულია. ეს არის ცრუ ბრალდება და ცილისწამება და მცდელობა იმისა, რომ სტუდენტების პროტესტი ჩაახშო და დააშინო ახალგაზრდები. არანაირი ვალდებულება არ მაქვს ამის.“

სოციალურ ქსელ ფბ-ში შექმნილია ჯგუფი „ქოცი ლექტორების გაჯ.....ება უნივერსიტეტებიდან!“ თსუ-ს ჩამონათვალში არიან: ირაკლი კობახიძე, ანრი ოხანაშვილი, გიორგი კახიანი, მაია ბითაძე, ეკა სეფაშვილი, ნიკოლოზ სამხარაძე. ელიზბარაშვილს „პლუსი“ უწერია. ირაკლი კობახიძეს უკვე მიუწერეს თუ არა პლუსი, აღარ მინახავს, მაგრამ არც დაუმალავს ვინმეს, რომ ასე გამიზნულად იქცევიან. სტუდენტებმავე კი გაამხილეს კობახიძისთვის „გამოყოფილი ამრევი“, ვინმე შუკაკიძე, მაგრამ ხმად გავრცელდა, რომ ამჯერად ამ საქმისთვის 5-ათასლარიანი ჰონორარი იყო გამოყოფილი.

ასეთები დევნიდნენ უნივერსიტეტიდან გასული საუკუნის 30-იან წლებში პროფესორ-მასწავლებლებს... ესენი ხომ მათი ფიზიკურ-იდეური შთამომავლები არიან, სოროს-ტროცკის ნაჯვარი იდეოლოგიით გამოზრდილები...

ისევ თავიანთივე ლექტორები აქეზებენ, ის ლექტორები, კოჰაბიტაციამ რომ დატოვა ადგილზე, ან კოჰაბიტაციამ რომ დასვაო — არ მჯეროდა!

„ვეღარ დავმალავ, ვეღარ გავჩერდები!

მირიან ყარაულაშვილი: „5 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადდანიშნულმა (თუ არჩეულმა) რექტორმა, ვანო-ხერხემალის მიერ შექმნილი „ნაცმოძრაობის“ ფსევდოოპოზიციური პარტიის ყოფილმა წევრმა და ამ პარტიიდან თბილისის საკრებულოში 2010-2014 წელს ტრაკდადებულმა „პროფესორმა“ ჯაბა სამუშიამ დიდი სტუმართმასპინძლობით სწავლისგან და მუშაობისგან უქმე დღეს (!!!) უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კარი გაუღო და ყველაზე დიდი აუდიტორია დაუთმო ყოფილ სახალხო დამცველ ლომჯარიას და ამავე უნივერსიტეტის პროფესორს, 2009-2012 წლების პარლამენტის წევრს „ნაციონალური მოძრაობიდან“, ბატონ ზურაბ დავითაშვილს. მათ აუდიტორიაში შეკრიბეს წინასწარ შერჩეული, რადიკალიზმით გამორჩეული სტუდენტი-ახალგაზრდები და მთელი 7 საათი უტარებდნენ ტრენინგსა და ტვინების გამორეცხვას, როგორ უნდა ემოქმედათ მომავალ დღეებში პარლამენტის წინ დაგეგმილ მიტინგებზე! სწორედ მათგან მომზადებულმა ახალგაზრდებმა მიიტანეს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები და სხვა საბრძოლო მასალა-იარაღები პოლიციის ძალებთან დასაპირისპირებლად და დასასახიჩრებლად!

ჩვენ, ყველამ პირდაპირ ეთერში ვიხილეთ ის სისასტიკე და დაუნდობლობა, რითიც ეს რადიკალი ახალგაზრდები გამოირჩეოდნენ!

მათი ქმედების შედეგად, დასახიჩრდა და დაიწვა 50-ზე მეტი პოლიციელი, რამდენიმე მათგანი გადაურჩა ცოცხლად დაწვას...

თითქოს ეს ჩვეულებრივი ხვდომილობაა ამ ჩვენს არეულ ქვეყანაში, მაგრამ... ყველაზე არაჩვეულებრივი და გულისამრევი ის არის, რომ ამ ბატონი პროფესორის ღვიძლი დის შვილი ბრძანდება საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი, პარლამენტში შეყვანილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიით!!!

ვინ უნდა უნდა აგოს პასუხი ამ უბედურებაზე, რაც ამ სტატუსში აღვწერე?

თუ მე რაიმე არაზუსტად დავწერე, მომთხოვეთ პასუხი ცილისწამებაზე, ხოლო თუ სწორად დავწერე, მაშინ აქ ჩამოთვლილ ქვეყნის დამანგრეველებს მოსთხოვეთ სათანადო პასუხი!!!

განაღდებული აქვთ „წარმატება“. თუ „ნაცმოძრაობა“ გაიმარჯვებს, ბიძა აღზევდება ისევ, ხოლო თუ „ქართული ოცნება“ გაუძლებს ზეწოლას — ბიძის ღვიძლი დის შვილი დაიცავს ბიძას ზედმეტი შეკითხვებისგან!!!

როდემდე უნდა აკეთოთ უმადური და დასაძრახისი საქმეები ჩემი და ჩემი ოჯახის საზიანოდ და გასანადგურებლად???

დაანგრევენ ესენი ამ გზით ქვეყანას! გაანადგურებენ ისედაც განადგურებულ და გავერანებულ გენეტიკურ კოდს და მომავალს საქართველოსი!!!“

მიშამ უანდერძა პროფესორ-აკადემიკოსების ჩარეცხვა მეცნიერებასთან ერთად და ანდერძითვე გადასცა დედას „გეპეი“, გიგი თევზაძეს „ილიაუნი“ და სულაც ყველა სასწავლებელიო, — ამბობს ხალხი და მთლად არცთუ უსაფუძვლოდ.

12 მარტს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა სატელევიზიო გადაცემაში თქვა, რომ მიხეილ სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას უნივერსიტეტში (რომელიც მას 1 ლარად გადასცა შვილმა), დააარსეს „ფრანკლინის კლუბი“, სადაც შექმნილია ერთგვარი ანკლავი ახალგაზრდებისთვის ტვინის გამორეცხვის მიზნით. მანვე დადასტურებულ ინფორმაციად მოგვაწოდა, რომ ყველაზე პროვოკაციულად „ფრანკლინის კლუბისა“ და „გირჩის“ დატრენინგებული ახალგზრდები იქცეოდნენ. მათ პირდაპირ ჰქონდათ მიცემული დავალება, რომ სპეცდანიშნულების რაზმსა და პოლიციას დაპირისპირებოდნენ, რამენაირად მოეხდინათ მათი პროვოცირება „მოლოტოვის კოქტეილებით“. საიდან გაჩნდა ე. წ. მოლოტოვის კოქტეილები მშვიდობიან აქციაზე?! — რიტორიკული შეკითხვა დასვა პრემიერმა. მართლაცდა, საიდან გაჩნდა, უნივერსიტეტებში ასწავლიან მათ დამზადებას? რა თქმა უნდა, არა! პრემიერს ეცოდინება (უნდა იცოდეს!), ვინ დაუმზადა ახალგაზრდებს „კოქტეილები“, ხოლო ის მოქალაქე, ვინ იყო, ვინც აქციაზე „კოქტეილები“ დაარიგა, კადრში გარკვევით ჩანდა და მის ამოცნობას რაღა უნდა?!

პრემიერო, ხელისუფლებავ, ნუ იქცევით ლათინოამერიკული და თურქული სერიალების პერსონაჟებივით, ნუ იგუბებთ პირში წყალს, თქვით შიშველი სიმართლე და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვით!

მოჰკიდეთ ხელი ყველას, ვინც ანტისახელმწიფოებრივად იქცევა და პასუხი აგებინეთ!

**ნინო დაუშვილი**

**(გაგრძელება იქნება)**



**ნორვეგიის კონსერვატიულმა პარტიამ მიხეილ სააკაშვილს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის ჯილდო გადასცა. ამასთან დაკავშირებით, გუშინ, ნორვეგიის სამეფოს საელჩოსთან სააკაშვილის რეჟიმისგან დაზარალებულებმა აქცია გამართეს, რომელსაც სულხან მოლაშვილის ძმა - თორნიკე მოლაშვილი უძღვებოდა. როგორც ბატონმა თორნიკემ აღნიშნა: ეს ქმედება საზოგადოების დაცინვაა, რადგან სწორედ სააკაშვილი არის ადამიანი, რომელმაც მისი მმართველობის პერიოდში ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა და ათასობით უდანაშაულო ადამიანი ციხეში ჩასვა. გარდა ამისა, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, 30-მდე ტელევიზია დაიხურა. ასევე, 150 ადამიანზე მეტი პირდაპირ ქუჩაში მოკლეს. დიახ, მან არაერთი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სააკაშვილის „გაპრავება “ - თითქოს იგი უდანაშაულოა, ყოვლად წარმოუდგენელია.**

**დღეს ყველა კარგად ვხედავთ, რომ საქართველოზე არნახული ზეწოლა ხორციელდება. გვიპირისპირდებიან, რადგან ქართველი**

# ვაიექსპერტების ბუმი საქართველოში

**სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო პერიოდში „ქართული ოცნება“ უფრო პრინციპული გახდა დასავლეთის მიმართ და, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ხალხის ნების გამომხატველ სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებს**



ომარ გოცაძე

ძვირფასო მკითხველო, შედეგზე ორიენტირებული ნებისმიერი საქმიანობის საძირკველი, რომ მისი განმახორციელებლის განათლება და პროფესიონალიზმია, ამაში, მგონი, სადავო არაფერია. ჩვენი უბედურება სწორედ განათლების სისტემის მოშლითა და მისი დეგრადაციით დაიწყო და, ღმერთმა უწყის, როდის დამთავრდება. ამ დეგრადაციას კი სათავე განათლების სისტემის იმ რეფორმებმა დაუდო, რომელიც ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირის“, ამერიკის რეკომენდაციითა და მაშინდელი პრეზიდენტის, დღესდღეობით „წამებულის“ სტატუსის მქონე სააკაშვილის განკარგულებით, წარმატებით განახორციელა ქვეყნის დამაქცევარმა და მოღალატე კახა ლომაიამ. დღევანდელ საქართველოში რომ განათლების დეფიციტია, ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. ბოლო 30 წლის განმავლობაში ქვეყანაში გატარებულმა განათლების რეფორმებმა თავისი საქმე გააკეთა, „შედეგი აჩვენა და შესაბამისი ნაყოფიც გამოიღო“. განათლების სისტემის მოშლასა და ლომაიას მოღალატეობრივ საქმიანობაზე არაერთი წერილი მაქვს გამოქვეყნებული, მაგრამ განმკითხავი არავინაა, ქვეყნისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესებიდან გამომდინარე, ღრმა და ხარისხიანი ცოდნის მისაღებად საჭირო რადიკალური ცვლილებები, ჯერჯერობით, განათლების არც ერთ საფეხურზე არ განხორციელებულა. სამაგიეროდ, მომრავლდნენ არა მარტო განათლების, არამედ ნებისმიერი დარგის ექსპერტები, რომლებიც უამრავ რეკომენდაცია-„მარგალიტებს“ აფრქვევენ ტელეეკრანებიდან... განათლების სისტემაში არსებული სიმახინჯეების წინააღმდეგ მებრძოლი და მისი გამოსწორებისათვის თავგადადებული ექსპერტი, ქალბატონი მანანა ნიკოლაიშვილია, რომელიც ამხელს სისტემის უარყოფითი მხარეებს და მათი გამოსწორების მზა რეცეპტებს სთავაზობს სამინისტროს. მაგრამ არავითარი რეაგირება, პროცესი ინერციით კვლავ მანკიერი გზით მიემართება, რასაც ჩვენი ახალგაზრდობის მთავარი მიზანი - ხარისხიანი განათლების მიღების სურვილი ეწირება. ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის მოშლა და გაუბედურება, საზღვარგარეთიდან თავსმოხვეული რეფორმების ბრალია, რომელთაც ასე თავგამოდებით ვახორციელებდით ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით განათლების მხრივ ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანა იყო, ეგვიპტეში ასუანის კაშხალს, ხოლო ირანსა და ინდოეთში მეტალურგიულ კომბინატებს აგებდნენ და, ღირსეულ კონკურენციას უწევდნენ მსოფლიოს საუკეთესო ინჟინერ-მშენებლებს. დღეს კი განათლება ისე დაჩიავდა, რომ აქ მომზადებულ სპეციალისტებს გელათის მონასტერისათვის სახურავიც ვერ გამოუცვლიათ და სამტრედიასთან, მდინარე რიონზე ახალაშენებული ხიდისთვის ბურჯი ვერ შეუყენებიათ.

მე მრცხვენია, როცა სამხედრო საკითხებში ექსპერტ „მეტრს“, აკია ბარბაქაძეს ვუსმენ. მოკლედ, ფერი ფერს და მადლი ღმერთსო, ზუსტად მარგველაშვილ-ბარბაქაძეზეა ნათქვამი. რა პრეზიდენტიც მარგველაშვილი იყო, ისეთი მრჩეველიც ჰყავდა სამხედრო საკითხებში. ხომ წარმოგიდგენიათ, დავით აღმაშენებელს სამხედრო მრჩეველი აკია ბარბაქაძე რომ ჰყოლოდა, დიდგორის ომს როგორ „უდანაკარგოდ“ მოიგებდა. ვაი, ჩვენი ცოდვა, საწყალო საქართველო, რა დღეში ჩავარდი, რომ აკიასნაირი ექსპერტებითაა გადავსებული ქართული სატელევიზიო სივრცე.

ბატონ აკიას ექსპერტობა უკვე მოსწყინდა, ცნობადობის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა მოინდომა და ბედი ახლა ორატორობაში სცადა. ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალის საბურველში გახვეულმა, ქვეყნის გადასარჩენად და მისი მონობის უღლიდან გასათავისუფლებლად თავისი ორატორული ნიჭი წარმოჩენა ტრიბუნაზე სცადა და მომიტინგეებთან 24 თებერვალს „მარგალიტებით“ სავსე მგზნებარე სიტყვა დასჭექა: „უკრაინა იმარჯვებს, რუსეთი დამარცხებულია, პუტინი შეშინებულია და სოროში იმალება, ჩვენი ქვეყნის მონობა უნდა დავასრულოთ და საქართველო განვათავისუფლოთო“. ოღონდ, ის აღარ დაუკონკრეტებია, ვისი მონობისგან უნდა გაათავისუფლოს საქართველო - ამერიკის თუ ევროკავშირისგან.

ახლა ვინმე მეტყვის, რას გადაეკიდე ამ აკიას, რა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი გენერალური შტაბის უფროსები კაპანაძე და, თუ არ ვცდები, გოგავა, ნაკლებ სისულელეებს ლაპარაკობენო? და მართალნიც იქნებიან. მე ის მიკვირს, საიდან მოიყარა თავი ამდენმა დილეტანტმა და სულელმა ამ ერთ უწყებაში. ღმერთო, შენ უშველე ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანას!

სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო პერიოდში „ქართული ოცნება“ უფრო პრინციპული გახდა დასავლეთის მიმართ და, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ხალხის ნების გამომხატველ სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებს. რაც ძალზე აღიზიანებს ჩვენს სტრატეგიულ „მოკავშირე“ დასავლეთს, რომელიც უკვე მუქარაზე გადავიდა და ევროკავშირში მიღების პერსპექტივაზე სამუდამოდ დამშვიდობებაზე პირდაპირ მიგვანიშნებს. უბრალოდ, გაკვირვებული ვარ, რატომაა აკრძალული ამ ქვეყანაში სიმართლის თქმა. ყველამ იცის, რომ ჩვენი პრეზიდენტი თავისი არადეკვატური გამოთქმებით ცნობილია. ამიტომ საზოგადოებაც ისე მიეჩვია მისი ასეთი გამოსვლების ტექსტებს, რომ ეს, აღარც უკვირთ და აღარც რეაგირებენ მასზე.

ამ ქალბატონს ამ ბოლო დროს აღარც მე ვაკრიტიკებ და მეტიც, მის მდგომარეობაში შევდივარ. ქალმა რამდენჯერაც სიმართლე თქვა, რომ „ომი სააკაშვილმა დაიწყოო, საქართველოს ისეთი ჯარი არ ჰყავს, რომ მსოფლიო დაიპყროს, ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, მსოფლიო ჯარით კი არ,ა განათლებითა და კულტურული მიღწევებით უნდა დაიპყროსო, საქართველოს ტერიტორიაზე არცერთი უცხო ქვეყნის საჯარისო ნაწილები არ უნდა იქნეს განლაგებული, ლავროვი მსოფლიოში ერთერთი უძ-



ლიერესი დიპლომატიაო“, ამ რადიკალურმა ოპოზიციამ და ქვეყანაში არსებულმა მე-5 კოლონამ, ისეთი ამბავი აუტეხეს და ისეთი თავდასხმები მოუწყვეს, სიტყვებიც უკან წააღებინეს და ბოდიშებიც ახდევინეს. ამანაც იფიქრა, რა ძალა მადგია, თავს ხლაფორთში რაზე ვიგდებ, რადგან ასე უნდათ, მეც ავდგები და სიცრუითა და არაადეკვატური გამონათქვამებით გაჯერებულ განცხადებებს გავაკეთებ, რადგან ასეთი გამოსვლებით უფრო მომგებიან პოზიციაში აღმოვჩნდები და კრიტიკის ქარ-ცეცხლსაც გადავურჩებიო. რომ ვაკვირდები, მართლაც ასე აკეთებს და უფრო იოლადაც გადის ფონს.

ახლახან ბატონმა კობახიძემ, მართალია, ცოტა მოკრძალებით, მაგრამ მაინც სიმართლე თქვა, რომ რუსეთს უკრაინასთან ომში უპირატესობა აქვსო. ამაზედაც ერთი ამბავი ატყდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით: როგორ თუ რუსეთს უპირატესობა აქვს, ეს როგორ შეიძლება, რუსეთი ხომ აგრესორია, ის ომს აგებსო. მაგრამ ზურაბიშვილისაგან განსხვავებით, კობახიძეს ეყო გამბედაობა და არც სიმართლის თქმისათვის მოუხდია ბოდიში. აქამდე ვიცოდი, რომ საინფორმაციო ომი მოსახლეობამდე სიმართლის უფრო სწრაფად მიტანის ხელოვნება იყო და იმარჯვებდა ის, ვინც უფრო ადრე მიაწოდებდა მოსახლეობას სწორ და ობიექტურ ინფორმაციას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საინფორმაციო ომი სიცრუისა და ცრუ ინფორმაციის გავრცელების ხელოვნება ყოფილა. როგორ უნდა დაეცე და აზროვნება ისე დაგიბნელდეს, რომ, იმის შემდეგ, რაც ახლა უკრაინაში ხდება თქვა, უკრაინა იმარჯვებს და რუსეთი მარცხდებაო.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამისა არც ამ ომის მაპროვოცირებელ ამერიკა-ევროპის მამამთავრებს სჯერათ, მაგრამ ზელენსკის კიდევ უფრო გასაბრიყვებლად მაინც ერთხმად გაჰკივიან, უკრაინა იმარჯვებს, ზელენსკი გმირი და შეუდარებელი მხედართმთავარიაო. ამ რიტორიკით, იარაღის მიწოდებითა და ომის რაც შეიძლება მეტად გახანგრძლივებით სწორედ ამ ომის მაპროვოცირებელი ამერიკა და ევროკავშირი არიან დაინტერესებული, რადგან იარაღის გასაღების ბაზარია გახსნილი და რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ეს, მით უფრო მეტ იარაღს გაასაღებენ და უფრო მეტ სარგებელსაც მიიღებენ. სარგებელი კი შემდეგში გამოიხატება: ამ ქვეყნებში ინტენსიურად ამუშავდა იარაღის მწარმოებელი ქარხნები, მოსახლეობის სოლიდური ნაწილი დასაქმდა, უმუშევრობა შემცირდა, ხალხს შემოსავალი გაუჩნდა, ეკონომიკაც გაიზარდა და მეწარმეები კიდევ უფრო მეტად გამდიდრდნენ. მახსოვს, სკოლაში გვასწავლიდნენ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, მიცვალებულთა სასახლეების, ანუ კუბოების დამამზადებელ მეწარმეებს უხარიათ, რაც მეტი ადამიანი მოკვდება, რომ ამით მოგება ნახონ. ეს ჩვენში აღშფოთებას იწვევდა და, გითხრათ სიმართლე, არ გვჯეროდა, ამას ყველაფერს კომუნისტურ პროპაგანდად მივიჩნევდით. ახლა, ამ 70 წლის გადასახედიდან კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ის ხალხი სიმართლეს ამბობდა, ეს კომუნისტური პროპაგანდა კი არა სიმართლის პროპაგანდა ყოფილა, რადგან კაპიტალისტური სამყარო ყოველივე ამას თავიანთი მოქმედებით დღესაც ამტკიცებენ. ეს მათი ცხოვრების წესია, არჩეულ კურსს და მოგების მიღების გაუმაძღარ მადას არც ახლა ღალატობენ.

ღმერთმა ქნას, რომ ეს გაუაზრებელი და ამდენი უდანაშაულო მშვიდობიანი ადამიანის მსხვერპლად შემწირველი ომი მალე დამთავრდეს და მშვიდობამ დაისადგუროს. მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ სანამ კოლონიალისტ-კაპიტალისტთა გაუმაძღარი მადა, იაფი მუშახელის, ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდების სურვილი არ შეიკვეცება, მსოფლიოში მუდამ ასეთი არეულობა და განუკითხაობა იქნება.

---

**ხალხი მხარს ხელისუფლებას უჭერს. საბედნიეროდ, დღეს ჩვენი მთავრობის პოზიცია ურყევია - უპირველესი ქართველი ხალხის ინტერესებია და მერე სხვა დანარჩენი. ჩვენ მივდივართ ევროპისკენ, ოღონდ, ღირსეულად. დღეს ჩვენი ქვეყანა ომს ვერ გაუძლებს. რაც უკრაინაში ხდება მტერს არ ვუსურვებ, მაგრამ მსგავსის აქ გამეორება, ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება. უკრაინას მხარდაჭერას ვუცხადებთ, მაგრამ საქართველოს მაინც ლანძღავენ. ქვეყნის არევა სააკაშვილის და მისი გუნდის შეკვეთაა. მათ სურთ საქართველო პრო-რუსულ, ანტიევროპულ ქვეყნად გამოცხადდეს -აღნიშნა მოლაშვილმა.**

**აქციის ორგანიზატორებმა მოითხოვეს რომ ნორვეგიის სამეფოს ელჩს - ჰელენა სანდ ანდერსენს მკაფიოდ დაეფიქსირებინა, რომ კონსერვატიული პარტიის მიერ სააკაშვილისთვის მიცემული ჯილდო, ნორვეგიის სამეფოს პოზიციასთან თანხვედრაში არ არის.**

**აქციაზე გაიჟღერა შეკითხვამ - რა პასუხი უნდა გასცეს ნორვეგიის ელჩმა იმ დედებს, ვისაც სააკაშვილის რეჟიმმა შავები ჩააცვა?! ვის აჯილდოვებენ, მკვლელს? - იყო შეძახილები.**

**თორნიკე მოლაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აპირებს ნორვეგიის სამეფოს საელჩოში შეიტანოს სტრასბურგის დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ მიხეილ სააკაშვილმა, სულხან მოლაშვილის უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმცია, უშუალოდ, დაარღვია.**

**აღსანიშნავია, რომ ამ თემასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროში ნორვეგიის სამეფოს ელჩს ჰელენა სანდ ანდერსენს შეხვდნენ. მას განემარტა, რომ ეს ჯილდო ქართული საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია. თავად ელჩს, ამ საკითხზე, მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებია.**

**„საერთო გაზეთი“**



# სამშობლოს ღალატის ანატომია

## დადგება დრო, როდესაც მელაშვილთან და ილიჩოვასთან ერთად, მიხეილ სააკაშვილიც განსასჯელის სკამზე აღმოჩნდება

*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ:*

**— ბატონო დიმიტრი, დავით გარეჯის საქმეზე გამოძიება გრძელდება. რამდენიმე დღის წინ მამა კირიონი დაკითხეს. როგორც ცნობილია, მორიგი სასამართლო პროცესი მალე გაიმართება. უამბეთ მკითხველს, როგორ მოხვდა ჩვენი ტერიტორიები სხვა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში?**

— დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო ვნებათაღელვა არ ცხრება. დღემდე გადაუწყვეტელია სამართლებრივი საკითხები, რაც ორ სახელმწიფოს შორის სახელმწიფო საზღვრის დემილიტაციასა და დემარკაციას უკავშირდება.

მოგეხსენებათ, 2004 წელს პრეზიდენტად სააკაშვილი აირჩიეს. 2005 წელს საქართველოდან 1938 წლის რუკები გაქრა. 1996 წლის 13 ივნისის სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების ოქმში, რომელსაც უკლება და სალამოვი აწერენ ხელს, წერია: მხარეები ათვლის წერტილად 1938 წლის რუკას გამოიყენებენო. ეს მეტყველებს შემდეგზე: იმას, რომ დავით გარეჯის ლავრა და მისი მიმდებარე მონასტრები საქართველოს კუთვნილება იყო, აზერბაიჯანის მხარე პროცესის დასაწყისშივე ეჭვქვეშ არ აყენებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი 1938 წლის რუკით არ იხელმძღვანელებდნენ. ილჰამ ალიევის მოსვლამდე აზერბაიჯანს არ გაჩენია არავითარი პრეტენზია უდაბნოს, ბერთუბნისა და ჩიჩხიტურის მონასტრებზე და, ზოგადად, ჩიჩხიტურის თხემზე არსებულ სიმაღლეებზე. 1938 წლის რუკას საფუძვლად უდევს 1936 წლის 5 მარტისა და ივნისის დადგენილებები, რომლებსაც ხელს აწერენ ლავრენტი ბერია და ბაგიროვი და რითაც გადაწყდა, რომ აღნიშნული მონასტრები საქართველოს კუთვნილებაში დარჩებოდა. სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოურიდებლად საუბრობს იმაზე, რომ საქართველომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ინტერესები უნდა გაითვალისწინოსო.

**— მიწათმოწყობის სახელმწიფო კვლევით საპროექტო ინსტიტუტში ხომ იყო ეს რუკები დაცული. თქვენ აღნიშნეთ, რომ ისინი გაქრა. როგორ?**

— დიახ, 2005 წლიდან კვალის გასუფთავება იწყება. ამ ინსტიტუტში უნიკალური არქივები, 1938 წლის 500-ათასიანი და 200-ათასიანი მასშტაბის რუკები ინახებოდა, სადაც ზემოთ აღნიშნული ტერიტორიები საქართველოს მფლობელობაში იყო, რაც ჰეიდარ ალიევსა და შევარდნაძეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც ჩაიდო. ეს რუკები პირწმინდად განადგურდა 2006-2007 წლებში მას შემდეგ, რაც თავდაცვის სამინისტრომ ინსტიტუტში სამი ოფიცერი გაგზავნა მათი აღწერის მიზნით. მალევე მიწათმოწყობის ინსტიტუტს დიდი სამხედრო სატვირთო მანქანა მიადგა და ეს რუკები სამხედროებმა გაზიდეს. ივერი მელაშვილი 1980 წლიდან სწორედ ამ ინსტიტუტში მუშაობდა. მან საკმაოდ კარგად იცოდა, სად რა იყო, ასევე, სად ინახებოდა პლანშეტები, რაზეც დატანილი იყო საქართველო-აზერბაიჯანის არსებული საზღვრის მონაკვეთები 1938 წლის რუკის მდგომარეობით. ეს ინსტიტუტი 1961 წელს შეიქმნა და 2005 წელს მიხეილ სააკაშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მოულოდნელად გაუქმდა მაშინ, როცა იქ დაცული იყო იზოგიფსებიანი რუკები, 25, 50, 100-ათასიანი მასშტაბის რუკები, რაც სრულ და ობიექტურ მონაცემებს იძლეოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრის აღნიშნულ მონაკვეთზე, მათ შორის იყო 1938 წლის 200-ათასიანი მასშტაბის რუკაც, რომელზეც საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ-ებს შორის გავლებული საზღვარი მაღალი ნდობის საზღვრად მიიჩნეოდა, რაც 1996 წელს ალიევის და შევარდნაძის შორის მოლაპარაკებების შედეგად მიღებული ოქმითაც დასტურდებოდა. ოქმს მაშინდელი ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები აწერდნენ ხელს. ოქმში პირდაპირ წერია, რომ მხარეები იხელმძღვანელებენ 1938 წლის 200-ათასიანი მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკით! საბჭოთა კავშირმა კონსტიტუცია 1936 წელს მიიღო. შესაბამისად, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვარი გაივლო, რომელმაც ჩიჩხიტურის თხემიდან აზერბაიჯანის სიღრმეში 450 მეტრში გაიარა და ეს ასახულია სწორედ 1938 წლის რუკაზე. ასე რომ, სპეკულაცია იმაზე, თითქოს ოდესმე საზღვარი ჩიჩხიტურის თხემზე გადიოდა, არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპე მახარაძისა და ნარიმან ნარიმანოვის მიერ 1921 წლის 15 ნოემბერს იყო მცდელობა, ყარაიაზის ველიდან დავით გარეჯის გარკვეული მონაკვეთი აზერბაიჯანს გადასცემოდა, ეს ფაქტი ვერ შედგა.

**— თუკი ჰეიდარ ალიევი ამ საკითხს ეჭვქვეშ არ აყენებდა, მერე რაღა მოხდა?**

— შევარდნაძის ხელისუფლება ე.წ. რეფორმატორებით შეიცვალა და ხელისუფლებაში სააკაშვილი მოვიდა. როგორც ჩანს, შვილი (ილჰამ ალიევი) მამის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა. ჰეიდარ ალიევის დროს ამ თემაზე არავითარი პრეტენზია არ გაჟღერებულა. გავიდა დრო და აზერბაიჯანის ახალ ხელმძღვანელობას — ილჰამ ალიევს ამ მიწებთან დაკავშირებით პრეტენზია გაუჩნდა. მან კულუარულად სააკაშვილთან მოლაპარაკებები დაიწყო. მას სურდა კულტურული მემკვიდრეობის მითის შექმნა და ყველა სტრატეგიული სიმაღლის აზერბაიჯანისთვის გადაცემა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ სომხეთისთვისაც სტრატეგიულია. ვინაიდან აქ სამი სახელმწიფოს საზღვარი იკვეთება — აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის.

სააკაშვილთან მოლაპარაკებები გაიმართა. ამ საქმის „წარმატებით“ დასასრულებლად სააკაშვილს სჭირდებოდა სანდო პირი, რომელსაც კარტოგრაფიაში, გეოდეზიაში კონკრეტული გამოცდილება ექნებოდა, რათა იმ ათვლის კოორდინატთა სისტემასთან მიმართებით, რომელიც აზერბაიჯანს უპირატესობას აძლევდა, შეცდომა არ დაეშვა. და ეს პირი გახლდათ პროფესიით გეოდეზი ვანო მერაბიშვილი, რომელიც იმ პერიოდში ფლობდა შპს „გეოს“, რომელიც თავის დროზე მონაწილეობას იღებდა თბილისის გარშემო არსებული მიწის ფართების აზომვაში, რაც „მსოფლიო ბანკის“ მიერ დაფინანსებული USAID-ის პროექტი იყო, საგრანტო პროექტების ზედამხედველად კი ივერი მელაშვილი მიიწვიეს. 2003 წელს ივერი მელაშვილი „მსოფლიო ბანკის“ პროექტში გადავიდა, სავარაუდოდ, ვანო მერაბიშვილის რეკომენდაციით. 2006 წელს მელაშვილი დემილიტაცია-დემარკაციის კომისიაში ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა, მანამდე ათი წელი რიგით ექსპერტად მუშაობდა. იმავე წელს მასთან ერთად დაინიშნა ილიჩოვაც. **ᲡᲬᲝᲠᲔᲓ 2006 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲓᲔᲛᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲐᲠᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲔᲠᲘᲐ: ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲖᲔᲓ ᲗᲮᲔᲛᲖᲔ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲗᲮᲔᲛᲘᲡ ᲫᲘᲠᲨᲘᲝ, ᲠᲐᲪ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ, ᲧᲐᲠᲐᲘᲐᲖᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲩᲘᲩᲮᲘᲢᲣᲠᲘᲡ ᲗᲮᲔᲛᲖᲔ „ᲐᲛᲝᲪᲝᲪᲓᲔᲡ“.** 2007 წელს აზერბაიჯანული მხარე ასეც მოიქცა. 2005 წელს დაწყებული სპეცოპერაცია 2006 წელს მთავრდება და 2007 წელს აზერბაიჯანი ჩიჩხიტურის თხემს იკავებს.

მელაშვილის სახით მივიღეთ რიგითი მიწათმომწყობი, რომელსაც სამეცნიერო ხარისხი არასდროს ჰქონია და, შესაბამისად, არც კარტოგრაფიის სპეციალისტია. რაც შეეხება ილიჩოვას იგი მაღალი ლეგიტიმაციის სახელმწიფო კომისიაში ისე მოხვდა, რომ სახელმწიფო ენა არ იცოდა! მისი რეკომენდატორი ეკა გიგაური იყო, რომელიც იმ პერიოდში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის, ბადრი ბიწაძის მოადგილე გახლდათ. აღნიშნული დეპარტამენტი მაშინ შსს-ს ექვემდებარებოდა, რომლის მინისტრიც მერაბიშვილი იყო. ანუ, ეს პროცესი უშუალოდ ვანო მერაბიშვილისა და ეკა გიგაურის ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა. როგორც ზემოთ ვახსენე მელაშვილი კომისიის თავმჯდომარე გახდა. კომისიაში იყვნენ ღვაწლმოსილი სპეციალისტები, მათ შორის, პროფესორი კეკელია, რომელიც მელაშვილთან დაპირისპირებას შეეწირა. კომისიის რამდენიმე წევრი მელაშვილს აუჯანყდა, ის კი ყველას აჩუმებდა: პროტესტს აზრი არ აქვს, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ვიტყვიო. **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ, ᲩᲘᲩᲮᲘᲢᲣᲠᲘᲡ ᲗᲮᲔᲛᲖᲔ ᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲔᲭᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲥᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ.**




გახსოვთ, მელაშვილის ცნობილი განცხადება: რაც ჩვენი არ არის, იმაზე როგორ უნდა ვიდავოთო. ეს შეგნებულად ითქვა. ეს იყო შეკვეთა. მისი მოღალატეობრივი პოზიცია ამ სიტყვებიდანაც ჩანს. მოღალატე სააკაშვილი, ნინო კალანდაძე (მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი) და ნიკა რურუა (მაშინდელი კულტურის მინისტრი) სამ ხმაში ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დროს არსებული რუკების მიხედვით, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ეს ნაწილი: ბერთუბანი, ჩიჩხიტურის კოშკი და უდაბნოს მონასტერი, საქართველოს შემადგენლობაში არ შედიოდა. ამის შესახებ განცხადებები 2012 წელს გაკეთდა. იმ წელს ხელისუფლება იცვლებოდა, აზერბაიჯანულ მხარეს კი მყარი გარანტიები სჭირდებოდა, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიდოდა. ამიტომ მათ ხმამაღლა დაიწყეს ამაზე საუბარი, რათა აზერბაიჯანულ მხარეს განგაშის საფუძველი არ ჰქონოდა, რომ ახალი ხელისუფლება სააკაშვილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სადავოს გახდიდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. 2012 წელს ჩვენი ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრები (მაშინ პარლამენტის წევრი ვიყავი) ჩიჩხიტურის თხემზე ავედით. დავაფიქ-



სირეთ ფაქტი — როცა ხელისუფლება იცვლებოდა, აზერბაიჯანულმა მხარემ თხემზე ასასვლელი ბილიკები პირველად გადაკეტა და აცხადებდა: ეს ტერიტორია ჩვენია, რაზეც სააკაშვილისა და ილჰამ ალიევის ხელისუფლებები უკვე შეთანხმდნენ, ამიტომ აქ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები უნდა იდგნენო. მოგვიანებით ეს პროცესი დაკონსერვდა. 2018 წლიდან კი საკითხი ისე გამწვავდა, რომ ამაში ქართული საზოგადოებაც ჩაერთო, რასაც აზერბაიჯანის მხრიდან გააქტიურება მოჰყვა. ამ პერიოდში ახალმა ხელისუფლებამ ხმამაღლა განაცხადა, რომ დაწყებულია გამოძიება საქართველოს ტერიტორიის განზრახ უკანონო გასხვისების ფაქტთან დაკავშირებით, რასაც ორგანიზებული ხასიათი გააჩნია და მას აღმსრულებლის გარდა, დამკვეთიც ჰყავსო. მოგეხსენებათ, ამას სერიოზული რეზონანსი მოჰყვა. შვეიცარიაში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა დავით ხიდაშელმა საქართველოში 50-მდე უნიკალური რუკა ჩამოიტანა გერმანიიდან, შვეიცარიიდან, აშშ-იდან და რუსეთიდან. მათ შორის, 1938 წლის რუკაც. სწორედ ამ დროს დააკავა გამოძიებამ ილიჩოვა და მელაშვილი. ერთ-ერთი მტკიცებულება სწორედ 1938 წლის პლანშეტური რუკები იყო, რომლებიც მიწათმოწყობის ინსტიტუტიდან 2005 წელს გააქრეს. შეგახსენებთ, რომ **კეზერაშვილმა 1938 წლის რუკები, მათ შორის, სწორედ ჩიჩხიტურისა და ბერთუბანის მონაკვეთზე გამავალი სასაზღვრო ხაზის დამადასტურებელი პლანშეტური რუკა, სააკაშვილის დავალებით ინსტიტუტიდან გაატაცებინა.** ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი გაქრა. სააკაშვილის პოლიტიკურმა სისტემამ დაინახა, რომ თუკი მათ ლიდერს საუკუნის დანაშაულში ამხელდნენ, მაშინ ეს სისტემა, როგორც ძირითადი ოპოზიციური ფლაგმანი, მთლიანად ჩამოიშლებოდა. ამ შემთხვევაში, დასავლეთს საქართველოში საყრდენი აღარ დარჩებოდა. ამიტომაც წამოიწყეს ინგა გრიგოლიას სტუდიაში გააფთრებული კამპანია „პატიოსანი“ მეცნიერების შესახებ, თითქოს მათ სახელმწიფო ებრძვის. ადრე თუ გვიან, საქმის წარმოება ისტორიულ მიწებთან დაკავშირებით სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით დასრულდება. „დავით გარეჯი საქართველოა!“ — ეს ლოზუნგი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერიდან არჩევნების პერიოდში ყოველდღიურად მოჩანდა.

ვფიქრობ, ეს მხოლოდ წინასაარჩევნო სლოგანად არ უნდა დარჩენილიყო. აქ მხოლოდ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე როდია საუბარი, არამედ 3600 ჰექტარ მიწაზე. წარმოიდგინეთ, რამხელა ტერიტორიაა ამ კომისიის მიერ უკანონოდ დემილიტირებული. სწორედ ეს არის სამშობლოს ღალატი და ის მოუწმენდელი ლაქა, რასაც სააკაშვილი ვერასდროს ჩამოირეცხავს.

**წესით, სააკაშვილი კოსტუმების კი არა, სამშობლოს ღალატის მუხლით უნდა სამართლდებოდეს. თუმცა, 2006 წელს ეს მუხლი სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს.** დიახ, ეს მუხლი კოდექსიდან გააქრეს, რათა შემდგომ ამას გარკვეული დისკომფორტი არ შეექმნა იმ აღმსრულებლებისთვის, რომელთა რიცხვში არიან ის ექსპერტებიც, რომლებმაც 2006 წლის შუალედურ გადაწყვეტილებას ჩიჩხიტურის თხემზე გასატარებელ ხაზთან დაკავშირებით ხელი მოაწერეს.

ილიჩოვამ და მელაშვილმა ქვეყნის წინაშე უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს. ეს უკანასკნელი ათას სისულელეს ლაპარაკობს, მთავარია, სასამართლოს რა ინფორმაცია აქვს მტკიცებულებების სახით. ეს სპონტანური გამოძიება არ არის. სხვათა შორის, 2013 წელს ამ საქმის მოკვლევა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მოითხოვა. მას პირველს გაუჩნდა ეჭვი, რომ ჩადენილია მძიმე დანაშაული, რაზეც კონკრეტული მტკიცებულებები არსებობს.

ბოლოს, ექსკლუზიურად გეტყვით, რომ ამ საქმის დაძვრაში უდიდესი წვლილი მიუძღვით მამუკა ბახტაძესა და ირაკლი ღარიბაშვილს. 2017 წელს ირაკლი ღარიბაშვილმა განაახლა საგამოძიებო პროცესები და გარკვეული მასალების ფუნდამენტური მოკვლევა დაიწყო. მჯერა, პროკურატურა ამ საქმეში სერიოზულ სიტყვას იტყვის, რასაც სასამართლო კოლეგია გაითვალისწინებს. ამ ყველაფრის უკან ქვეყნის ღალატი ისახება. დღეს, სააკაშვილს, „ვივამედში“ რომ წამოწოლილა, ურჩევნია საჯარო აღსარებისთვის მოემზადოს და ღიად ილაპარაკოს, რატომ, ვისი დაკვეთით და რა კონკრეტული მიზნებით ჩაიდინა ღალატი. დადგება დრო, როდესაც მელაშვილთან და ილიჩოვასთან ერთად, სააკაშვილიც დაჯდება განსასჯელის სკამზე.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# როდესაც ორი აქლემი ჩხუბობს...

← 5 გვ.



რომ ალიანსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რადგან მსხვილკალიბრიანი საბრძოლო მასალის მოლოდინის დრო 12 თვიდან 28 თვემდე გაიზარდა.

ორიოდე დღის წინათ ისევ სტოლტენბერგს ვუსმენდი და — პუტინი არ გაჩერდება უკრაინაზე, ახალი ომისთვის ემზადებაო.

ეს ამბავი რანაირად არის, რუსეთი სუსტდება, იფიტება, აღარც მეომარი ძალა ჰყავს და აღარც სამხედრო ტექნიკა და ახალ ომს იწყებს, თან უფრო ფართომასშტაბიანს?

ურანის შემცველი ჭურვები უნდა მივაწოდოთ უკრაინას და თუ რუსებს ძალიან აღელვებთ, რომ მათი ტანკები გამართულ მდგომარეობაში დარჩეს, მათ შეუძლიათ, უბრალოდ, გაიყვანონ ტანკები უკრაინიდანო, — წაივაჟკაცა ჯონ კირბიმ.

ისე ჩანს, ნატო-ს რუსეთი სერბეთში ერევა, როდესაც 15 ტონა გაღარიბებული ურანის შემცველ რაკეტებს დამიზნებით ესროდა 78 დღე საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, საავადმყოფოებსა და საბავშვო ბაღებსაც კი („როიტერის“ ინფორმაცია). დასავლური მედიის ცნობით, აღნიშნული ბომბების სერბეთში გამოყენება პირდაპირ არის დაკავშირებული კიბოს შემთხვევების მკვეთრ ზრდასთან. ვინმე თუ იცის, ნეტავ, ნამდვილი მიზეზი, რატომ დაბომბა სერბეთი ნატო-მ?!

„დასავლეთის ელიტები არ მალავენ თავიანთ მიზანს, მაგრამ წარმოუდგენელია, ვერ აცნობიერებდნენ, რომ შეუძლებელია რუსეთის დამარცხება ბრძოლის ველზე,“ — განაცხადა პუტინმა და დასძინა, რომ მოსკოვი „ახალი სტარტის“ შეთანხმებაში მონაწილეობას აჩერებს.

„ახალი სტარტი“ 2010 წელს, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაა, რომელიც ობამასა და მედვედევს შორის დაიდო და ბაიდენის ადმინისტრაციამ გააგრძელა — ვადა 2026 წლამდე იყო დათქმული. ხელშეკრულება ზღუდავდა უკვე განლაგებული სტრატეგიული ბირთვული ქობინების რაოდენობას.

როგორც კი სი ძინ პინის მოსკოვში ჩასვლის დრო დადგა, ჰააგის სასამართლომ ვლადიმირ პუტინის დაკავების ორდერი გასცა. რას ნიშნავს ეს ორდერი, აღარ განვავრცობ, მხოლოდ აღვნიშნავ, პრეცედენტს — როდესაც ასად ბაშარის წინააღმდეგ გაიცა დაკავების ორდერი, იორდანიამ არ დააკავა იგი მის ტერიტორიაზე ყოფნისას, რის გამოც სასამართლომ ეს ქვეყანა გაკიცხა...

პუტინის შემთხვევაში სად რა მოხდება, ძნელი სათქმელია, მაგრამ შედეგზე მედვედევმა მოკლედ და გასაგებად თქვა: „ჰააგის სასამართლო სამართლებრივი არარაობაა, რომელსაც თავისი შექმნის დღიდან არსებითი არაფერი გაუკეთებია! წარმოვიდგინოთ, რომ ბირთვული სახელმწიფოს მოქმედი პრეზიდენტი ჩავიდა, დავუშვათ, გერმანიის ტერიტორიაზე და ის დააკავეს. რა არის ეს? ეს რუსეთის ფედერაციისთვის ომის გამოცხადებაა. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი ყველა საშუალებები გაფრინდება ბუნდესტაგისკენ, კანცლერის ოფისისკენ და ა.შ. მას ესმის, რომ ეს არის „კაზუს ბელი“, რომ ეს არის ომის გამოცხადება?! თუ, ის ცუდად სწავლობდა?!“

მას შემდეგ, რაც სი ძინ პინი მოსკოვში ჩავიდა და ხელი მოაწერა რამდენიმე დოკუმენტს, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა იმის გამოხატულებად მიიღო, რომ ჩინეთი მზად არის, მხარი დაუჭიროს რუსეთს და ეს ფაქტი „შემაშფოთებელ სიგნალად“ მიიღო. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია შიშობს, რომ, შესაძლოა, ქვეყნების ნაწილმა მხარი დაუჭიროს ჩინეთის „სამშვიდობო გეგმას,“ — წერს „ბლუმბერგი“.

სი ძინ პინი გვერდზე ეჯდა, პუტინმა რომ თვალისდაუხამხამებლად საქვეყნოდ განაცხადა: „როგორც დღეს თქვა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ (ბარონესა ანაბელა გოლდი), უკრაინას არა მხოლოდ ტანკებს, არამედ გაღარიბებული ურანის გულარებიან საარტილერიო ჭურვებსაც მიაწვდიან. როგორც ჩანს, დასავლეთმა გადაწყვიტა, ეომოს რუსეთს ბოლო უკრაინელამდე არა მხოლოდ სიტყვით, საქმითაც. ასეთ შემთხვევაში, რუსეთი იძულებული გახდება, კოლექტიურ დასავლეთს უპასუხოს, ვგულისხმობ ბირთვულ კომპონენტს“. სი ძინ პინი კი გულგრილი სახით იჯდა და ისე ახამხამებდა თვალებს, ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რას ფიქრობდა ტაივანზე...

ისე კი, მედვედევი საინტერესო რამეებს ამბობს ხოლმე, მაგალითად, ლვოვი — ჯანდაბას, მაგრამ უკრაინა მთლიანად რუსეთიაო... არადა, რადგან ისტორიისთვის ახლახან გადაეცა უკრაინას სხვა ქვეყნების მიწები, ყველამ იცის (მხცოვან დედაჩემს კარგად ახსოვს ყირიმის გადაცემაც: „სკოლას ვამთავრებდით. კარგად მახსოვს, როგორ გაგვიკვირდა და ვამბობდით, ახლა სტალინი რომ იყოს ცოცხალი, ამას ვინ გაბედავდაო), რომ უკრაინის დასავლეთ მხარეზე თვალი აქვთ მიშტერებული მის მოსაზღვრე ქვეყნებს, როგორც მათ კუთვნილ ისტორიულ ტერიტორიებზე...

ტრამპის ნათქვამი მახსენდება, მსოფლიოს გადანაწილება ხდება და აშშ ისეთ კრიზისში ვარდება, თავისთავად განზეა ჩაჩოჩებული, საკუთარი თავი აქვს საშველიო...

აკი ვთქვი, სახელს ვერ ვარქმევ, რა ჰქვია ამ ბაქანალიას, რაც „ომი უკრაინაში“ სახელით მოკლედ ფიქსირდება.

სი ძინ პინი რომ მოსკოვში ჩავიდა, ბალტიის ზღვის მხრიდან 2 ბომდამშენი მიუახლოვდა რუსეთის საზღვრებს, რუსებმა 4 ავიაგამანადგურებელი ააფრინეს, რის შემდეგაც ბომბდამშენებმა სასწრაფოდ დატოვეს აღნიშნული საჰაერო სივრცე, უკან გაფრინდნენ — შენ სადღა ეკვეხები, შვილო?

რუსეთმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ არ ეწინააღმდეგება უკრაინისა და საქართველოს გაერთიანებას ევროკავშირში (ნატო სხვა საკითხია) და რა გამოდის, ქართველი (არამხოლოდ) რუსოფობების ლოგიკით, უკრაინისა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება „რუსული ნარატივია?“

სხვათა შორის, რუსეთმა (ლავროვმა) რამდენჯერმე იმაზეც მიგვანიშნა, რომ რუსეთი მზად არის, საქართველოსთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს. იმასაც ვხედავთ, რომ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს არ „იფორმებს“, როგორც, მაგალითად, უკრაინის შემთხვევაში მოხდა...

ისა და, მაკრონმა კიდევ, რომ თქვა, საქართველო (კავკასია) გეოგრაფიულად ვერ იქნება ევროკავშირის წევრიო და ყური არავინ შეიბერტყა, ვითომ ვერ გაიგეს?! ჩვენ, ვინც გავიგეთ, რაც მაკრონმა თქვა, მივხვდით, რომ რადგან საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა პრობლემას ქმნის ევროკავშირის წევრობისთვის, ოფიციალურად ვინ გაგვცემს პასუხს, რანაირად გავხდებით ევროკავშირის წევრი?!

**P.S. ჰააგის სასამართლომ კი გასცა პუტინის დაკავების ორდერი, მაგრამ რატომ გააჩინა კითხვის ნიშნები პროკურორ ქერიმ ხანის მოთხოვნამ ვლადიმირ პუტინის დაპატიმრების თაობაზე?**

**2022 წლის მაისში, პროკურორ ქერიმ ხანის ძმას (49 წლის პოლიტიკოსი დიდი ბრიტანეთის „კონსერვატიული პარტიიდან“) იმრან ახმად ხანს პატიმრობა მიესაჯა არასრულწლოვან ბიჭუნაზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის გამო.**

**2023 წლის თებერვლის მიწურულს, მსჯავრდებული პედოფილი პოლიტიკოსი რატომღაც გაათავისუფლეს, ხოლო 17 მარტს მისმა ძმამ, ჰააგის პროკურორმა ქერიმ ხანმა, ბრალდება წაუყენა ვლადიმირ პუტინს და მისი დაპატიმრება მოითხოვა. ჰააგის სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა...**

**ნინო დაუშვილი**

# სამუშაო ადგილები იზრდება, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის გარანტია



*გვესაუბრება ეკონომისტი სოსო არჩვაძე:*

**— ბატონო სოსო საქართველოში რუსი მოქალაქეების შემოსვლამ ფულადი მაჩვენებლების შემოდინების რეკორდული რაოდენობა დააფიქსირა. თუმცა, ეკონომიკის გამოცოცხლებას, მეორე მხრივ, ბინებზე, რესტორნებში და ა.შ. ფასების ზრდა მოჰყვა. რუსეთზე მზარდი დამოკიდებულება რა საფრთხეების წინაშე გვაყენებს?**

— ჩვენს სუფრაზე 99% იმპორტირებული — რუსული ხორბალი და ფქვილია. ეს საფრთხის შემცველი არ არის?! მაშინ ამ ლოგიკით აღარ შემოვიტანოთ რუსული ფქვილი, მარცვლეული და სხვა ბაზრები ვეძებოთ. რა თქმა უნდა, სხვა ბაზრების მოძიება შესაძლებელია, მაგრამ, პირობითად, იმავე რაოდენობის მარცვლეულს კანადიდან თუ შემოვიტანთ, ჩვენს მოსახლეობას ეს დამატებით სულ ცოტა 80%-ით გაუძვირებს პურ-ფუნთუშეულს. კი, ბატონო, ორმაგი ფასის გადახდა შეგვიძლია, ამის რესურსი გვაქვს, მაგრამ ეს ხომ სხვა სახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემცირებაზე მოახდენს გავლენას?! რუსეთი მოცემულობაა და იმ რეალობას, რაშიც ცხოვრება გვიხდება ობიექტურად უნდა მივუდგეთ, რათა მინიმალური დანაკარგებით მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ. რაც შეეხება საქართველოში ფასების ზრდას, დიახ, რომ არა რუსული ფაქტორი, ინფლაციის ტემპი ორნიშნა ნიშნულიდან ერთნიშნაზე 2022 წლის დეკემბერში კი არა, არამედ 5-6 თვით ადრე ჩამოვიდოდა. რუსების დიდი რაოდენობით შემოდინებამ მთელ სამომხმარებლო ბაზარზე ტალღისებური ეფექტით ფასების ზრდა გამოიწვია. მეორე მხრივ, რუსეთიდან მასშტაბური რესურსის შემოტანამ ეკონომიკის გამოცოცხლება, ერთობლივი მოთხოვნის ზრდა გამოიწვია. ის, რომ ჩვენ 10%-ზე მაღალი ეკონომიკური ზრდა გვქონდა, ჩემი შეფასებით, ეს სულ ცოტა — 1,5% შემოსული დამატებითი თანხის „დამსახურება" იყო. ეს, ძირითადად, რუსეთიდან და ნაწილობრივ უკრაინიდან შემოსული თანხების გამოყენების ხარჯზე მოხდა.

**— რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გამო მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა. ამან დროებითი ეფექტი მოახდინა, თუ ეს განვითარება მდგრადი და გრძელვადიანია?**

— 2021 წელს საქართველოში რუსები შემოსული არ იყვნენ, მაგრამ მაშინაც ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა. მიმდინარე წლის იანვარში რუსების მასშტაბური შემოსვლა არ დაფიქსირებულა, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა 8%-ზე მეტით გაიზარდა. რა თქმა უნდა, რუსული ფაქტორი ეკონომიკურ ზრდაში მონაწილეობს, მაგრამ ეს განმსაზღვრელი არ არის. რუსული კაპიტალის, ფინანსური ინექციების გარეშეც კი, საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ სოლიდურ ზრდას აფიქსირებს. მაგალითად, აზერბაიჯანი ბუნებრივი რესურსებით ჩვენზე მდიდარია, მისი ექსპორტის მოცულობა ქვეყანას საკმაოდ სოლიდურ შემოსავალს აძლევს, მაგრამ იქ ეკონომიკური ზრდა გასულ წელს დაახლოებით, 4,5% იყო. ჩვენთან ეს მაჩვენებელი ორნიშნა — 10,1% იყო. მთლიანობაში ეს ეკონომიკური პოლიტიკის და სახელმწიფოს მიერ გატარებული იმ კომპლექსური ღონისძიებების დამსახურებაა, რაც ქვეყანაში არსებული რესურსების, პირველ რიგში, სამუშაო ძალის ეფექტიან გამოყენებას უზრუნველყოფს. ეს შესაძლებელს ხდის, რომ არსებული რესურსების ხარჯზე ეკონომიკის სწრაფ განვითარებას მივაღწიოთ.



**— ანუ, თუ რუსული კონტრიბუცია შეწყდება, ამით საფრთხე არ გვემუქრება?**

— არა, რადგან ევროპიდან, ამერიკიდან და სხვა ქვეყნებიდან განხორციელებული ფულადი ტრანზაქციები საკმაოდ სოლიდური — 25-30%-ის ფარგლებშია. თავად რუსეთის წილი ჩვენი ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში 16%-ს არ აღემატება. სხვათა შორის, 2000-იანი წლების დასაწყისში ეს მაჩვენებელი 30% იყო. უფრო ადრე, საბჭოთა პერიოდში — 60%, რაც თანდათანობით, კლებად რეჟიმში გადადის. 2022 წელს რუსეთში საქართველოდან ექსპორტის მხოლოდ 6%-იანი ზრდა იყო, როცა დანარჩენ ქვეყნებში თითქმის 38%-ით გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ რომ ამ ხნის განმავლობაში ლარი გაცილებით მეტად გამყარდა, რუსეთში ექსპორტი კი არ გაგვეზარდა (ეროვნულ ვალუტაში თუ დავითვლით), არამედ რამდენიმე პროცენტით კიდეც შემცირდა. მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსეთის ეკონომიკაზე მეტისმეტად დამოკიდებული ვართ, გადაჭარბებულია. ერთადერთი პოზიცია, სადაც ჩვენი მდგომარეობა საკმაოდ მოწყვლადია, მარცვლეული და ფქვილია. ამ შემთხვევაში რუსეთის წილი დომინირებს. ჯერჯერობით, მისი ჩანაცვლების ღონისძიება არ და ვერ ტარდება, რადგან გეოგრაფიული სიახლოვისა და პროდუქტის სიიაფის გამო, მარცვლეულისა და ფქვილის შემოტანა რუსეთიდან უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან.

**— წინა წელი ორნიშნა ეკონომიკური ზრდით დავამთავრეთ. როგორ ფიქრობთ, ეს ტენდენცია შენარჩუნდება?**

— წელი ახალი დაწყებულია, ამიტომ იმის თქმა, რომ ამჯერადაც ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვექნება, ცოტა ნაადრევია. ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას ბევრი ფაქტორი ახდენს. შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა შარშან საქართველოსთან დაკავშირებით, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, თავიანთი პროგნოზი რამდენჯერმე შეცვალეს. დასაწყისში საუბრობდნენ, რომ ეკონომიკის ზრდა, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება 4% იყოს. წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი თანდათანობით გაზარდეს. ბიზნესის წარმოების და ხელშეწყობის, ინვესტიციების მოზიდვის, სატრანსპოტრო ფუნქციისა და როლის გაძლიერებით, ჩვენ საკმარისად კარგი შესაძლებლობა გვაქვს, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი შევინარჩუნოთ. იქნება



თუ არა ტემპი ორნიშნა, ძნელი სათქმელია. თუმცა, ეროვნული ეკონომიკის ყოველი დამატებითი პროცენტი უკვე იმ დონეზეა, რომ საშუალება გვაქვს, საბიუჯეტო შემოსავლები სულ ცოტა 200 მილიონი ლარით გავზარდოთ. კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც ჩემი პირადი დაკვირვების შედეგია: საქართველოში საშუალო, ნომინალური ხელფასი, სწრაფად იზრდება. პარალელურად, მყარდება ეროვნული ვალუტის კურსი, რამაც ბოლო ორ წელიწადში 21 პროცენტს გადააჭარბა. ამავდროულად, თვალს ვადევნებთ თურქეთში არსებულ მაღალ ინფლაციას, ეროვნული ვალუტის დევალვაციას ამერიკულ დოლართან მიმართებით. ველოდები თურქეთის ოფიციალურ სტატისტიკას იქ საშუალო ხელფასის შესახებ. ვვარაუდობ, რომ თურქეთის ანალოგიური საშუალო ხელფასის ზრდის მაჩვენებელს საქართველომ უკვე მიაღწია ან გადააჭარბა კიდეც. ეს შეიძლება ისტორიულ წარმატებად მივიჩნიოთ რადგან წლების განმავლობაში საქართველოდან შრომითი მიგრანტები თურქეთში სამუშაოდ მიდიოდნენ. ფაქტობრივად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით ბიზნესსექტორში დაქირავებულთა, ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობა და მათი საშუალო ხელფასის შემოსავლები სოლიდურად იზრდება. მაგალითად, ბიზნესსექტორში ჩვენი სახელფასო ფონდი 2022 წლის მეორე კვარტალში, დაახლოებით, 27%-ით არის გაზრდილი. მაშინ, როცა ინფლაციის ტემპი გასულ წელს მხოლოდ 11,2% იყო. როცა სამუშაო ადგილების ზრდის პერსპექტივა არსებობს, ეს იმის გარანტიაა, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას შეუქცევადი ხასიათი ექნება. ბოლოს, დასკვნის სახით გეტყვით: საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა, ბოლო პერიოდში, ემიგრაციისა და კოვიდპანდემიით გამოწვეული დანაკარგების გამო შემცირდა. თუმცა, თუ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას თვალ-ყურს მივადევნებთ, განსაკუთრებით კი დასაქმებულთა რაოდენობას, დავინახავთ, რომ ეს მაჩვენებლები იზრდება. ანუ, ის ადამიანები, რომელთაც ერთი-ორი წლის წინ სამუშაოს შოვნის იმედი აღარ ჰქონდათ, დღეს შრომის ბაზარზე დაბრუნდნენ. უმუშევრობის დონე ამჟამად ისტორიულ მინიმუმამდეა დასული. ეს ტენდენცია კვლავ გაგრძელდება. ანუ, პოზიტიური ელემენტები ჩვენს ეკონომიკაში საკმარისზე მეტია. ცაში ქუდის სროლა და ხბოს აღკტინება საჭირო არაა, მაგრამ რეალურად უნდა დავინახოთ ის პოზიტივები, რაც ეკონომიკაში ხდება. საჭიროა საზოგადოების დროული ინფორმირება, რაც საშუალებას მოგვცემს, ჩვენი მიღწევები, გამოწვევები და რისკები დავინახოთ და ამით მოსახლეობას ხვალინდელი დღის ნათელი პერსპექტივა დავუსახოთ. აი, ეს უნდა იყოს ექსპერტებისა და მედიასაშუალებების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა...

**გამოხმაურება მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი მიმართვის ღია წერილზე: „ქართველთა „დავით წინასწარმეტყველი“ მსოფლიოს მშვიდობისკენ მოუწოდებს“**

**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ქალბატონ დენიზა სუმბაძისეული ღია მიმართვის წერილით, ასე მგონია, ჩვენი დღევანდელი დილემური პოლიტიკური პროცესების სივრცეში, დავით გურამიშვილის ანდერძთა გაცოცხლებით, ქართველთა „დავით წინასწარმეტყველად“ წოდებული დიდი წინაპრის გასხივოსნებული გამოცხადება შედგა და ეს გამოცხადება შედგა კაცობრიობის სამშვიდობო გზაზე გასაყვანად არა მხოლოდ დავით გურამიშვილის ჭირისუფალი ერის ცნობიერებაში, არამედ რუსეთ-უკრაინის ამ შეიარაღებული დაპირისპირების ფრონტის ხაზზე, ამ ძმათა მკვლელი ომის მხარეთა შორის ხანძარში აღმართული და გადაეღობა ერთმანეთის სამტროდ მიმართულ ორთავ მხარეს... ქრისტეს მოყვარე ხალხებისას...**

საქართველო და ქართველები, ქართველი ერის საუკეთესო შვილები, არსებობის მრავალსაუკუნოვან მანძილზე ყოველთვის მსახურებენ მშვიდობას, კაცთა სიყვარულსა და პატივისცემას, სამართლიანობასა და კეთილის ქმნადობას.

ჩვენ, რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და მრავალთა და მრავალთა წარმომშობი ქვეყანა ვართ. მსოფლიოს ლიტერატურულ აზროვნებაში ქართველი ხალხის გენიალური შემოქმედებით შეიქმნა ადამიანთა ჰუმანურობის მღალადებელი ბალადა „ვეფხისა და მოყმისა“, სადაც შეგვიძლია ამოვიკითხოთ სასწაული ადამი-



ანური განცდისა: „იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა“. ჩვენ, ქართველებს, ყოველთვის გვქონდა მისწრაფება, შეგვექმნა უზენაესი სამართალი, მაგრამ არასდროს გვქონია სისხლის სამართლის კოდექსში სიკვდილით დასჯის მუხლი. ოლღა გურამიშვილის ქმედება მართლაც რომ ღვთიურია. მან ხმა აიმაღლა ილიას მკვლელთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ასეთი მაგალითები უხვადაა ჩვენს ისტორიაში.

**საქართველო თავისი არსებობის დღიდან მარტოდმარტო მხოლოდ და მხოლოდ უფლის შეწევნითა და მფარველობით მოუყვება თავის მოწამეობრივ გზას. ეს მოწამეობრივი გზა სულ უფრო და უფრო ტრაგიკული ხდება, რადგანაც თანამედროვე სამყაროში ქართველთა ბედს სულ სხვა ძალები წყვეტენ. თანამედროვე ეპოქა, შეიძლება ითქვას, მთლიანად მოუცავს არაჰუმანურ სულისკვეთებას, სადაც მხოლოდ ფულზე და ძალის ბოროტად გამოყენებაზე მიმდინარეობს უსაგნო, არაფრისმომცემი უღმრთო რიტორიკა. თანამედროვე მსოფლიო თავისი უგნური და არაჰუმანური, არაკაცობრიული ქმედებებით შესაძლოა მივიდეს გლობალურ კატასტროფამდე. თანამედროვე რეალობა ერთმნიშვნელოვნად არის დასაგმობი და უარსაყოფი! საყოველთაო მშვიდობისათვის, სლოგანით: „შეწყდეს ძმათამკვლელი ომი! მშვიდობა უალტერნატივოა!“**

ფილოსოფოს დენიზა სუმბაძის ზემოთაღნიშნული წერილი არის ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის, რადგან წერილის პათოსი და არსი არის უფლის სიყვარული, ადამიანთა შორის სიყვარული და პატივისცემა, ერებს შორის სიყვარული და პატივისცემა. დავით გურამიშვილის შემოქმედება სწორედ რომ ემსახურება ზოგადსაკაცობრიო იდეალებს რწმენას, სიყვარულს, სიბრძნეს და კეთილისქმნადობას. ჩვენი სახელოვანი წინაპარი განისვენებს უკრაინის ქალაქ მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ეზოში. მისი გადმოსვენების საკითხი სამშობლოში ერთმნიშვნელოვნად იმსახურებს საყოველთაო მხარდაჭერას. მით უფრო დღევანდელ დღეს. ეს ქრისტიანული ღვაწლი უფლის ნებითა და ძალით შესძლებს შეუძლებელსაც კი კაცთათვის, რადგან ის, რაც შეუძლებელია კაცთათვის, შესაძლებელია უფლისთვის.

ჩემი ღრმა რწმენით დავით გურამიშვილის გადმოსვენება უკრაინიდან სამშობლოში გახდება უფლის სასწაულის გაცხადების ნათელი დასაწყისი და მსოფლიოში მშვიდობის, სამართლიანობისა და სიკეთის გამარჯვების დასაწყისი. ეს ღვთიური საქმეა. თითოეულ ადამიანს, ვინც წვლილს შეიტანს ამ საქმეში, უფალი შეეწევა და დაიფარავს. შეგახსენებთ დავით გურამიშვილმა ქართველებს დაგვიბარა „გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო“. ჩვენ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, დიდი წინაპრის დანაბარები უნდა აღვასრულოთ.

თხემით ტერფამდე ქართველმა ქალბატონმა, სწავლულმა და მეცნიერმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, ღვაწლმოსილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ქალბატონმა დენიზა სუმბაძემ მიმართა ზემოთაღნიშნული წერილით საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, მის უწმინდესობას ილია II და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს. აღნიშნული წერილი დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა, 20 თებერვალი, 2023 წელი, გვ.1-7) და „საერთო გაზეთში“ (იხ. „საერთო გაზეთი“, N7, 1 მარტი, 2023 წ. გვ. 1,10).

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს იმის შესახებ, რომ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი დენიზა სუმბაძე დავით გურამიშვილს ქართველთა „დავით წინასწარმეტყველად“ მიიჩნევს და საზოგადოების წინაშე სვამს საკითხს დავით გურამიშვილის სამშობლოში გადმოსვენების შესახებ. ქალბატონი დენიზა სუმბაძის მიერ დასმული საკითხი არ გახლავთ მხოლოდ ვიწრო ეროვნული მნიშვნელობის.

არასოდეს დაგავიწყდეთ „სამშობლო როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა“, რომ ჩვენს წინაპრებს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ, რომ ჩვენს სამშობლოს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ და ერთიანი ძალებით ერმა და ბერმა შევძლოთ სამშობლო და ქართველობა ვიხსნათ ბოროტი სულებისა და ძალებისაგან. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ყველა ღვთიურ, მართალ და კეთილ საქმეში.

**თამარ დოლიძე**
**ჟურნალისტი, პოლიტოლოგი**

# ხელისუფლება ჩანერგილი „საბოტაჟნიკებისგან“ უნდა გაიწმინდოს

*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი გრიგოლ გაგნიძე:*



**— ბატონო გრიგოლ, 7-8 მარტს თბილისში განვითარებულ მოვლენებზე კიდევ დიდხანს იქნება მსჯელობა ჩვენს საზოგადოებაში. თქვენი შეხედულებით, რასთან გვქონდა საქმე?**

— დესტრუქციულმა ოპოზიციამ, როგორც სჩვევია, სტუდენტი ახალგაზრდობის მანიპულაცია მოახდინა და მათ ემოციებზე ითამაშა. ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას, თითქოს „უცხოური გავლენის აგენტის“ კანონის მიღების შედეგად, რომელიც რუსულად მონათლეს, ქართველი სტუდენტები ვეღარ შეძლებდნენ უცხოეთში სწავლის გაგრძელებას და ეს მათ ევროპული მომავალს ართმევდა. იმის განცხადებით, რომ თითქოსდა აღნიშნული კანონი რუსულია, დესტრუქციულმა, უპასუხისმგებლო ოპოზიციამ, საქართველოს მოსახლეობა ჯერ მოატყუა და ხალხის ძალა ხელისუფლებასთან დასაპირისპირებლად გამოიყენა. მათ რაღაც ეტაპზე მოახერხეს კიდეც არეულობის მოწყობა. საბედნიეროდ, ოპოზიციის ფარისევლობა მალევე გამოაშკარავდა. საერთოდაც, მსგავსი კანონი, როგორც ვიცით, ბევრ ქვეყანაში მოქმედებს. ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ ერთს ვიტყვი: იგივე კანონის მიღებას ევროკავშირი აპირებს, ასევე კანადაც. საერთოდ, ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფო, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს და შესაბამის კანონებსაც უნდა იღებდეს.

**— უცნაურია, რომ სხვადასხვა დონის უცხოელი პოლიტიკოსები საქართველოს ხელისუფლებას პირდაპირ სთხოვდნენ, არ მიეღოთ აღნიშნული კანონი. უფრო მეტიც, ამართლებდნენ დემონსტრანტების ძალადობრივ მოქმედებას...**

— საზოგადოებას კარგად ახსოვს „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი სისხლიანი რეჟიმი, ქუჩებში დახოცილი ახალგაზრდები, დარბეული, მართლაც მშვიდობიანი დემონსტრაციები, ციხეში განხორციელებული სადამსჯელო ოპერაცია, ათეულ-ათასობით ციხეგამოვლილი ადამიანი... რომელი ერთი გავიხსენოთ. სამწუხაროდ, უცხოელი პოლიტიკოსები „აპრავებდნენ“ ნაცრეჟიმის ნამოქმედარს, მიაჩნდათ, რომ ევროპული სტანდარტებით ხელმძღვანელობდა რეჟიმი. ახლაც სწორედ ნაცრეჟიმის „შემოქმედებმა“ მოაწყვეს არეულობები. ფაქტია, თუ ვინმე აფერხებს საქართველოს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებას, აკნინებს მათ იმიჯს ჩვენი მოსახლეობის თვალში, რევანშისტული იდეებით შეპყრობილი „ნაცმოძრაობა“ და მათი სატელიტები არიან. აქედან გამომდინარე, წესით, ევროპარლამენტი, ევროკავშირი თუ ნატო, ნაცრეჟიმის მომხრეებს მხარს არ უნდა უჭერდნენ. საქართველოს მიმართ მზაკვრული გეგმის მხარდაჭერა, აქ არეულობების, გადატრიალების მოწყობა რუსეთთან ღია კონფრონტაციით, ომში ჩართვით, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს გზას უხსნის, დაემუქროს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომლის 20% უკვე მიტაცებული აქვს იგივე ნაცრეჟიმის დამსახურებით. ეს ქვეყნის სახელმწიფოებრიობის არსებობას საფრთხეს უქმნის. რუსეთის მხრიდან მუქარები ადრეც იყო და ბოლო დროს კვლავ გაისმა სხვადასხვა დონეზე. ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ.

**— როგორ შეაფასებთ ჩვენი ხელისუფლების მოქმედებას? მხედველობაში მაქვს დემონსტრაციის დაშლა, წესრიგის აღდგენა. იყო საშიშროება, რომ არეულობას მსხვერპლი მოჰყოლოდა...**

— მოქმედი ხელისუფლება ზოგიერთმა დასავლეთელმა მოღვაწემ მაინც გააკრიტიკა ძალის გამოყენების გამო. „ქართული ვარიანტით“ იხელმძღვანელესო. გამოჩნდა, რომ „ქართული ვარიანტი“ ევროპულზე გაცილებით ჰუმანურია. აქციის დაშლა მსხვერპლით რომ დასრულებულიყო, პასუხისმგებლობა მთლიანად ხელისუფლებას დაეკისრებოდა. მართალია, ორივე მხარეს არიან დაშავებულები, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეძლო მძიმე შედეგების თავიდან აცილება. აქციის დასაშლელად მხოლოდ გაზი და წყალი გამოიყენეს.

**— როგორ მიგაჩნიათ, დასავლელი პოლიტიკოსები შეიცვლიან პოზიციებს და შეწყვეტენ საქართველოს ხელისუფლებაზე ხეწოლას?**

— საქართველოს ხელისუფლება, ჯერჯერობით, ახერხებს ბალანსის შენარჩუნებას და ომში ჩართვას თავს არიდებს. ცნობილია, ომებში ერთეულები მდიდრდებიან, მოსახლეობა, ხალხი კი ზარალდება. სამწუხაროდ, ოდითგანვე საქართველოს გარეშე მტრებთან ერთად შინაური მტერიც ბევრი ჰყავდა და ახლაც ასეა. აქაურებიდან ვინც ხელისუფლებას ომში ჩართვისკენ მოუწოდებს, უცხოეთშიც აქვთ საცხოვრებელიც და ქონებაც. ამიტომ მათ არ ანაღვლებთ, რა შედეგს მოუტანს ომი საქართველოს. ვისაც ომი უნდა, თავად წავიდნენ ცხელ წერტილებში დ იქ იომონ და იბრძოლონ.

**— დაბოლოს, ბატონო გრიგოლ, რას ფიქრობთ, რა მოხდება საქართველოში, რა გვაქვს გასაკეთებელი?**

— პირველ რიგში, ხელისუფლება ჩანერგილი „საბოტაჟნიკებისგან“ უნდა გაიწმინდოს. ქვეყნის ღალატი სწორედ მათგან არის მოსალოდნელი. გაისად საპარლამენტო არჩევნებია. კრებსითი „ნაცმოძრაობა“ არ მოისვენებს, ეცდება არეულობის მოწყობას, რათაA დესტაბილიზაციით მოვიდნენ ხელისუფლებაში. ისტორიულად, ქართველი მეფეები თავს სწირავდნენ ენას, მამულს, სარწმუნოებას. ამიტომაც შევინარჩუნეთ ქვეყანა დღემდე. მშვიდობას ვუსურვებ სრულიად საქართველოს.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# სი ძინპინი: მსოფლიოში საუკუნოვანი ძვრებია მოსალოდნელი



გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გასულ კვირას მსოფლიოს ყურადღება რუსეთის დედაქალაქისკენ იყო მიპყრობილი. როგორც უკვე ვწერდით, მოსკოვში ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის მმართველი სი ძინ პინი პოლიტიკოსებთან ერთად. მსოფლიოს პრესა „გამადიდებელი შუშით“ ადევნებდა თვალს მის ვიზიტს. საერთაშორისო პრესამ ჩინეთის დელეგაციის რუსეთში ჩასვლა წლის ერთ-ერთ მთავარ ვიზიტად შეაფასა. განსაკუთრებით ფართოდ ჩინური პრესა საკუთარი ქვეყნის მმართველის ვიზიტს აშუქებდა და ხაზგასმით აღნიშნავდნენ რუსეთ-ჩინეთის მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობას. „...მიმდინარეობს მსოფლიოში არსებული სისტემის დემონტაჟი“, — წერდა ჩინური პრესა.



მართლაც პომპეზური დახვედრა მოუწყვეს სი ძინპინს რუსეთში. აეროპორტიდან მას საკმაოდ დიდი საპატიო კორტეჟი მიაცილებდა, დააბინავეს ახალ, ჩინელების მიერ აშენებულ სასტუმროში... პოლიტოლოგები ყურადღებას აქცევენ იმასაც, სად მიიღებს მასპინძელი სტუმარს და იმის მიხედვით აფასებენ ვიზიტის მნიშვნელობას. სი ძინპინს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კრემლში, გრანიტის დარბაზში უმასპინძლა. შენობა ჯერ კიდევ ივანე III-ის დროს არის აშენებული. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც, სწორედ იქ უმასპინძლა სტალინმა მაო ძედუნს და ამაზევე გაამახვილა ყურადღება ამერიკულმა პრესამაც.

ვიზიტის პირველივე დღეს შედგა პუტინისა და სი ძინპინის პირისპირ არაოფიციალური შეხვედრა, რომელიც საკმაოდ დიდხანს, თითქმის ხუთ საათს გაგრძელდა. ამის შემდეგ პუტინმა სტუმარი თავის საცხოვრებელ ბინაში (რომელიც იქვე ახლოს მდებარეობს) მიიპატიჟა ფინჯან ჩაიზე. როგორც მოგვიანებით თავად პუტინმა განაცხადა: „სი ძინპინი საინტერესო მოსაუბრეა. მან დეტალურად გამაცნო მათი სამშვიდობო შეთანხმების დადებითი მხარეები“. მიმომხილველებმა აღნიშნეს, რომ შარშან, საფრანგეთის პრეზიდენტთან ემანუელ მაკრონთან და გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცთან შეხვედრის დროს გრძელი მაგიდის თავსა და ბოლოში ისხდნენ პუტინი და მისი ჯერ ერთი და მერე მეორე სტუმარი, ახლა კი სი ძინპინის გვერდით იჯდა. დასავლელმა ჟურნალისტებმა გაიხსენეს პუტინისა და სი ძინპინის ადრინდელი შეხვედრები და ერთმანეთისთვის გადაცემული საჩუქრები. მათი შეფასებით, ახლანდელმა ვიზიტმა ყველა წინანდელი გადაფარა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობითაც.

ორი ქვეყნის მეთაურის საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა ეკონომიკური თანამშრომლობა გახლდათ, გააფორმეს კიდეც მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები. განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება გაზსადენ „ციმბირი-2“-ის მშენებლობაზე. მაგისტრალი მონღოლეთის ტერიტორიიდან შევა ჩინეთში, ანუ რუსეთი ერთბაშად ორ ქვეყანას მიჰყიდის გაზს. თუ ჩინეთისთვის მეორე ხაზი იქნება, მონღოლეთი იაფად მიიღებს საწვავს, რომელიც უკიდურესად სჭირდება.

საყურადღებო განცხადებები გააკეთა სი ძინპინმა: „...იმედია, 2024 წლის არჩევნებში ხალხი კვლავ თქვენ დაგიჭერთ მხარს და აგირჩევთ. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ თქვენს მიერ გატარებულ პოლიტიკას“, — მიმართა მან პუტინს. პოლიტოლოგებმა მისი გამონათქვამი მსოფლიოსთვის გზავნილად შეაფასეს. მისივე განცხადებით: „...ჩვენ ვაჩვენეთ სამყაროს ქვეყნებს მაგალითი, როგორი უნდა იყოს ორი სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობა“. პუტინის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, დიმიტრი პესკოვის თქმით, ვიზიტის დროს ორი ქვეყნის მეთაურებს უკრაინის საკითხი არ განუხილავთ. განსაკუთრებით საგულისხმო იყო სი ძინპინის სიტყვები, გამომშვიდობებისას, მის პატივსაცემად გამართული ვახშმის შემდეგ რომ უთხრა პუტინს: „...მსოფლიოში მოსალოდნელია ისეთი ძვრები, როგორიც ასი წელი აღარ ყოფილა. ამას ჩვენ ერთობლივად განვახორციელებთ“. სი ძინპინის ვიზიტი დასრულდა და იგი სამშობლოში აშკარად კმაყოფილი დაბრუნდა, თუმცა მსოფლიოს პოლიტიკოსებს ბევრი კითხვა დაუტოვა. წასვლამდე სი ძინპინმა ორჯერ მიიწვია პუტინი ჩინეთში და სთხოვა, საპასუხო ვიზიტი წელსვე განახორციელოს.

ჯერ კიდევ სი ძინპინის ვიზიტამდე იყვნენ უკმაყოფილოები პოლიტიკოსები ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკული პრესის ინფორმაციით, სი ძინპინი უკრაინისა და რუსეთის დაზავებას მოახერხებდა, რაც ამერიკის ოფიციალურ პირებს არ სურთ. პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ასე შეაფასა პუტინისა და სი ძინპინის შეხვედრა: „...ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას ის ხალხი ცდილობს, რომლებიც გაეროს პრინციპების წინააღმდეგ მოქმედებენ“. გაბრაზება ვერ დამალა, რის გამოც ენაც კი დაება. მისი თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანი ჩინეთს ღიად დაემუქრა: „...თუ ჩინეთი იარაღით დაეხმარება რუსეთს, ეს ძვირი დაუჯდება“. სახელმწიფო მდივანი სენატში გამოდიოდა დიპლომატიური უწყებისთვის დაფინანსების გაზრდის საკითხზე. უკრაინაზე საუბრისას მან ღიად დააფიქსირა, რომ ჩინეთის სამშვიდობო გეგმის განხორციელების წინააღმდეგია. დარბაზში მყოფმა რამდენიმე აქტივისტმა ობსტრუქცია მოუწყო მას: „თუ ჩინეთის სამშვიდობო გეგმა არ მოგწონთ, თქვენი გეგმა სად არის!“ — უყვიროდნენ მას. აქტივისტები დაცვამ გაიყვანა დარბაზიდან.

პრეზიდენტის რანგში ჯო ბაიდენი პირველად ჩავიდა კანადაში. პრესის ვარაუდით, ბუნებრივი რესურსებისთვის. ის შეხვდა და ესაუბრა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ჯასტინ ტრიუდოს. ამერიკის პრეზიდენტს ერთობლივ ბრიფინგზე კვლავ მოუვიდა ლაფსუსი: „...აპლოდისმენტები ჩინეთსო“, — განაცხადა. შეცდომა იქვე გამოაწორა, ჩინეთზე ფიქრით ვარ დაკავებულიო, იმართლა თავი. ექსპერტების შეფასებით, მან აღიარა, რომ ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობას ყურადღებით აკვირდება. მოგვიანებით ვაშინგტონში კი განაცხადა: „...ჩინეთ-რუსეთის დახლოება გადაჭარბებულად არის შეფასებული. აშშ მსოფლიო ჰეგემონად რჩება, რომელსაც შეუძლია გაცილებით მჭიდრო, ძლიერი ალიანსის შეკვრა“.

ხელიდან არ გაუშვა დონალდ ტრამპმა მოწინააღმდეგის გაკრიტიკების შანსი: „...მძიმე სანახავი იყო მათი (სი ძინპინისა და პუტინის) შეხვედრის ყურება. აშშ-ის დღევანდელმა ადმინისტრაციამ დააახლოვა ერთმანეთთან ჩინეთი და რუსეთი, რომლებსაც შეუერთდნენ ირანი, საუდის არაბეთი, ჩრდილოეთ კორეა... და ყოველივე ეს წელიწდ-ნახევარში შეძლეს!“

აქტუალური და მძიმეა უკრაინაში არსებული ვითარება. გასულ კვირას ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ გეგმავენ, უკრაინას გადასცენ ურანით გამდიდრებული სხვადასხვა სახის ჭურვები. აშშ-ის უშიშროების საბჭოს ოფიციალური წარმომადგენელი ჯონ კირბი მიიჩნევს, რომ ურანით გამდიდრებული ჭურვები საფრთხეს არავისთვის წარმოადგენს. დასავლეთის ქვეყნები, უკვე ათწლეულებია, იყენებენ მათ. სპეციალისტები არ ეთანხმებიან კირბის. მათი განცხადებით, ურანის მტვერი იწვევს ონკოლოგიურ დაავადებას და ნიადაგს უსარგებლოს ხდის. გაიხსენეს, რა მძიმე შედეგები მოიტანა ურანით გამდიდრებული ჭურვების გამოყენებამ ყოფილ იუგოსლავიაში, დღევანდელი სერბეთის ტერიტორიაზე, ერაყში. ამ ქვეყნებში დღესაც ავადდებიან ონკოლოგიური დაავადებებით.

ბრიტანელების გადაწყვეტილებამ გააღიზიანა რუსეთის ხელისუფლება. პუტინის განცხადებით: „...დასავლეთი ჩვენთან ბოლო უკრაინელამდე ომის გაგრძელებას უკვე არა სიტყვით, არამედ რეალურად აპირებს!“ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ მოკლედ მოჭრა: „...ვნახოთ, რას მიაწვდიან და რას გამოიყენებენ. ჩვენ გვაქვს საშუალება, სათანადოდ ვუპასუხოთ მათ!“ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ ჭურვების გადაცემა ნატო-სთან ესკალაციისკენ გადადგმული ნაბიჯია. აღსანიშნავია, რომ ბრიტანელებმა განცხადება სი ძინპინის მოსკოვში ყოფნის დროს გააკეთეს.

სენსაციური განცხადება გააკეთა გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა ტელეინტერვიუში. პუტინის თქმით, ბელარუსში განათავსებენ სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებას: „...ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო დიდი ხანია, გვთხოვს, განვათავსოთ აღნიშნული შეიარაღება მათ ქვეყანაში. აშშ-ს ევროპის ექვს ქვეყანაში აქვს ბირთვული შეიარაღება, რატომ არ შეიძლება, ჩვენ ბელარუსში განვათავსოთ“, — განაცხადა პუტინმა. ვნახოთ, რას უპასუხებს დასავლეთი რუსეთს. კომენტარები ჯერ არ გაუკეთებიათ, რადგან გადაწყვეტილების მიღება დასვენების დღეებს დაემთხვა. ერთის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება — სამყარო ყოველდღე უახლოვდება მესამე მსოფლიო ბირთვულ ომს. საკითხავია, ვინ და როგორ შეძლებს, სამყაროს თავიდან ააცილოს ეს კატასტროფა.

დაბოლოს, ორი დიპლომატის განცხადება. გასულ პარასკევს ბელგრადში აღნიშნეს იუგოსლავიის დაბომბვის დაწყების სამგლოვიარო თარიღი. აშშ-ის ელჩმა სერბებს მოუწოდა, რომ უკვე დროა, დაივიწყოთ დაბომბვა და მისი შედეგებიო. დიპლომატს საკმაოდ მკვახე პასუხი გასცა სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა: „...თქვენ ჩვენს ბავშვებს, ქალებს, საერთოდ, ხალხს ხოცავდით. რატომ, და რა უფლებით?.. ბელგრადისა და იუგოსლავიის დაბომბვის პატიება კიდევ შეიძლება, დავიწყება — არა! ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაავიწყდებათ, თუ სერბი ხალხი აღარ იარსებებს!“

პოლონეთის ელჩმა საფრანგეთში ტელეინტერვიუში თქვა, რომ, თუ უკრაინის დამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქრება, მის ქვეყანას მოუწევს, ომში ღიად ჩაერთოს. ელჩის სიტყვებმა რეზონანსი გამოიწვია თვით პოლონეთშიც კი, სადაც გამონათქვამის შერბილებას შეეცადნენ. როდესაც დიპლომატები ასე საუბრობენ, სამყაროში მართლაც ყველაფერია მოსალოდნელი.



**გია ბურდული**
551 71 27 07

# თანამედროვე ემიტერებს შეუძლიათ გამოიწვიონ ადამიანების არაპროგნოზირებადი ქცევა და მათი მორჩილ იარაღად გადაქცევა

ფსიქოტრონული იარაღის ერთ-ერთი თეორიტიკოსი და შემქმნელი თადარიგის პოლკოვნიკი, აშშ-ის სპეცდანიშნულების ჯარების ვეტერანი დ. ალექსანდერი დიდი ხნის განმავლობაში სწავლობ- და პარაფსიქოლოგიას და ადამიანის ქცევებს ექსტრემალურ სიტუაციებში. 1990 წელს ერთ-ერთ ჟურნალში მან გამოაქვეყნა სტატია ,,ახალი ინტელექტუალური ბრძოლის ველი”. სტატია ომის პირობებში ტელეპათიისა და იმ იარაღის გამოყენების შესაძლებლობებს ეხებოდა, რომელიც ფსიქიკის ნორმალურ მუშაობას არღვევს. ამ სტატიაში შემოთავაზებული იყო მსუბუქი მკვლელობის ტექნოლოგია, რამაც პენტაგონის ყურადღება მიიპყრო. ამერიკელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამ ,,იარაღის გამოყენება განსაკუთრებით მიზანშეწონილია მსოფლიოს იმ რეგიონებში, სადაც ამერიკული ჯარები სამშვიდობო მისიას ახორციელებდნენ. ფსიქიკაზე ზემოქმედების ამგვარ შედეგს იძლევა ჰოლოგრაფიული გამოსახულების გამოყენებაც. დასავლეთის პრესა აღნიშნავდა, რომ 1993 წლის 1 თებერვალს სომალის დედაქალაქ მოგადიშოსთან აშშ-ის საზღვაო ქვეითებმა ჰაერში უცნაური რამ შენიშნეს, ქვიშიანი ქარიშხლის დროს ცაში



2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ დემონსტრანტების წინააღმდეგ აკრძალული ფსიქოტრონული იარაღი გამოიყენა

აჭრილ მტვერში გამოისახა ადამიანის სახის დაახლოებით 150 მ ზომის გამოსახულება. რამდენიმე წუთის შემდეგ მათ აღიქვეს, რომ ეს იყო იესო ქრისტეს სახე. ჯარისკაცები ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამო ტიროდნენ, მუხლებზე ეცემოდნენ და ლოცვას იწყებდნენ. 1993 წლის შემოდგომაზე მოსკოვში, ვლადიმირ ვისოცკის ხსენების დღეს ვაგანკოვოს სასაფლაოს თავზე ღრუბლებზე გამოისახა გიტარა. ამგვარ მოვლენებში არანაირი სასწაული არაა, გამოსახულებას ხატავს ლაზერი, ანუ სინათლის სხივების კონა...

დღეს მასაზე ზემოქმედების, ანუ მასობრივი ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული ომის ყველაზე მძლავრ საშუალებად რჩება ტელევიზია, სადაც ფსიქოტრონული გავლენის სხვადასხვა ხერხი ფართოდ გამოიყენება რეკლამების მსვლელობისას, განსაკუთრებულად დაბალი დონის ლათინოამერიკულ სერიალებში, რადგან მათი უაზრო შინაარსის ფონზე განსაკუთრებით კარგად მუშავდება ქვეცნობიერში ოცდამეხუთე კადრი და კოდირებული ადამიანი, ზომბივით იქცევა, ყიდულობს უხარისხო საქონელს, არჩევნებში ხმას აძლევს ერთ კანდიდატს ლოგიკით: ,,აბა სხვა ვინ ავირჩიო?!“ ეცვლება შეხედულებები ზნეობრივი ნორმების, ტრადიციების, რელიგიური მრწამსის შესახებ და ა.შ. რომ სერიალებს ინტენსიურად უჩვენებენ დღის იმ მონაკვეთში, როდესაც ტელევიზორს ადამიანთა მაქსიმალური რაოდენობა უყურებს.

თუ ადრე ადამიანი თვალნათლივ ხედავდა იმ იარაღს, რომლითაც მის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდნენ, დღეს კაცობრიობა უხილავი მტრისა და იარაღის წინაშე დგას. ბირთვული ომის საშიშროება ისევ ემუქრება კაცობრიობას და არავინ იცის, როდის მოგვაკითხავს ჩალმიანი ან ჰალსტუხიანი ტერორისტი კამიკაძე. ყველაზე სახიფათო მაინც ფსიქოტრონული, ანუ ექსტრასენსული იარაღია – ფერის, ფორმის, სუნის, გემოს, ხმისა და სახვა შესამჩნევი ნიუანსების გარეშე. ეს არის ზემოქმედება ადამიანის ქვეცნობიერ აღქმაზე, რომელიც სხვადასხვა ინფორმაციის გადაცემის გზით ხორციელდება. ფსიქოტრონული ზემოქმედება, გარკვეულწილად, ხორციელდება ჩვენში ერთ დროს ძალზედ მოდური ექსტრასენსული სეანსების დროსაც. ეს ხალხის მასობრივი მოტყუებაა, თუმცა, ნაწილობრივ, ეს მასობრივი ჰიპნოზია, უფრო მეტად კი, მასობრივი ისტერიკა და ფსიქიკური დასნებოვნება. რაც შეეხება ფსიქოტრონულ იარაღს, დღეს მაქსიმალურად იყენებენ ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების საშუალებას – ტელევიზორის, კომპიუტერის, რადიოს, კოსმოსიდან თანამგზავრებისა და რადიოლოკაციური სადგურების სახით.

არსებობს ფაქტები, რომ შექმნილია ტვინის მაღალ და დაბალსიხშირიანი კოდირების გენერატორი და ბიოლოკაციური დანადგარები. აგრეთვე იყენებენ ქიმიურ და ბიოლოგიურ საშუალებებს გარკვეული ფსიქოლოგიური რეაქციების სტიმულირების მიზნით. მაგალითად, კომპიუტერულ ვირუსში ჩაშენებული ფერადი ლაქებით გამოწვეულ ეფექტს. თავად ეს ვირუსი აღინიშნება აპოკალიფსური ,,მხეცის ნიშნით” – 666 (V666). მას შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს პერსონალური კომპიუტერის ოპერატორის ფსიქოფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, მისი მოქმედების პრინციპი ემყარება ეგრეთწოდებული ოცდამეხუთე კადრის ეფექტს, რომელიც შთაგონების ძალზე მძლავრი საშუალებაა. როგორც ცნობილია, ადამიანს აღქმის დიაპაზონის გარდა, გააჩნია ქვეცნობიერი დიაპაზონი, რომელიც ინფორმაციას გაუცნობიერებლად ითვისებს. სწორედ ქვეცნობიერ სფეროზე ზემოქმედებაში გამოიხატება ოცდამეხუთე კადრის ეფექტი. თუ ფილმის მსვლელობისას წამში ოცდაოთხ კადრს დაემატება კიდევ ერთი – ოცდამეხუთე, მაშინ სრულიად განსხვავებული ინფორმაციით, მაყურებლისთვის ეს კადრი შეუმჩნეველი რჩება, ანუ მას თვალი ვეღარ აღიქვამს, ვერ აცნობიერებს, მაგრამ მისი აღქმა წორედ ქვეცნობიერ სფეროში ხდება, რაც მის ემოციურ მდგომარეობასა და ქცევაზე საგრძნობლად მოქმედებს. უამრავმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ერთი წამის განმავლობაში თავის ტვინის ცენტრები ასწრებენ ოცდამეხუთე კადრის აღქმას და გადამუშავებას, უფრო მეტიც, მეცნიერთა აზრით, ინფორმაციის 97% სწორედ ქვეცნობიერი სფეროს მიერ აღიქმება და გადამუშავდება. მხოლოდ ინფორმაციის 3%-ს აღვიქვამთ გაცნობიერებულად.

ამგვარად, **V666** მონიტორის ეკრანზე 25-ე კადრის სახით გვეძლევა სპეციალურად შერჩეული ფერადოვანი კომბინაცია, რომელსაც ადამიანი შეჰყავს ერთგვარ ჰიპნოზურ ტრანსში. ადამიანის ფსიქიკაზე ფსიქოტრონული ზემოქმედების არაჩვეულებრივი მაგალითია იაპონიაში მასობრივი ,,სატელევიზიო ეპიდემიის” აფეთქება. 1997 წლის 1 დეკემბერს პოპულარული მულტფილმის ,,პოკემონის” (,,ჯიბის ურჩხულების”) მორიგი სერიის ჩვენების შემდეგ 700-ზე მეტი ბავშვი ეპილეფსიის სიმპტომებით მოათავსეს საავადმყოფოში. ფსიქიატრთა აზრით, ასეთი მდგომარეობა მულტფილმის მსვლელობისას მრავალრიცხოვანმა ფერადოვანმა ნათებამ გამოიწვია. ექიმებმა დაამტკიცეს რომ წითელი ფერის ციმციმი 10-დან 3030 კ ჰერცამდე სიხშირით წამში თავიდან იწვევს მხედველობის ნერვის გაღიზიანებას და თავის ტვინის სისხლძარღვების ნაწილობრივ სპაზმს (შევიწროებას), შემდეგ კი ცნობიერების დაკარგვას, კრუნჩხვებს და სუნთქვის სპაზმურ შეჩერებას (ხუთვას).



წლების წინათ ქართულ ინტერნეტსივრცეში მწვავე განხილვის საგანი გახდა ინტერნეტგამოცემის მიერ მომზადებული პუბლიკაცია სათაურით: “იერიში ტვინებზე”. სტატიის ავტორი ალექსანდრ კლუგლოვი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა რეჟიმის დროს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ფსიქოტრონული იარაღის გამოყენების მიზეზებსა და შედეგებზე წერდა. ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის იყო საქართველოც. კონკრეტულად, 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევა, რომლის დროსაც, ავტორის თქმით, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ აკრძალული ფსიქოტრონული იარაღი გამოიყენა. ამის შესახებ ინფორმაცია მაშინვე გავრცელდა, თუმცა, ერთმა ნაწილმა ეს ფანტასტიკის სფეროდ აღიქვა და ირონიული განცხადებებიც არ დაიშურა...

სტატიის მიხედვით, 2007 წლის 7 ნოემბერს თბილისში დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებული ,,უცნაური აპარატურა“ სპეციალური აკუსტიკური იარაღი - **Medium Range Acoustic Device** - იყო, რომელიც მაშინდელმა ხელისუფლებამ ამერიკელებისგან მიიღო. აღნიშნული იარაღი ამერიკელებმა მანამდე ერაყელი ბოევიკების წინააღმდეგ გამოსცადეს, უფრო გვიან კი, რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩნეთში. ორივე შემთხვევაში, ექსპერიმენტს თუ გამიზნულად გამოყენებულ მეთოდს, საკმაოდ დიდი მსხვერპლი მოჰყვა. სხვადასხვა ექსპერტის აზრით, შეერთებულმა შტატებმა საქართველოში გამოსცადა ფსიქოტრონიულ იარაღთან დაკავშირებული მინიმუმ ორი ტიპის ემიტერი. ითვლება, რომ იქ მიკროტალღური გამოსხივება გამოიყენებოდა ფსიქიკაზე ზემოქმედების მიზნით... 2001 წელს ჟურნალმა **New Scientist**-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლოს ალამოსის ეროვნული ლაბორატორიის მკვლევარებმა შექმნეს მიკროტალღური ემიტერი, რომელსაც შეუძლია დისტანციურად მოახდინოს გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე. როგორც ანგარიშშია ნათქვამი, ,,მძინარე მზეთუნახავის“ პროექტის ფარგლებში მეცნიერებმა შეძლეს ადამიანთა მთელ ჯგუფზე გავლენის მოხდენა. თუმცა, ამ გენერატორს შეეძლო გავლენა მოეხდინა ადამიანებზე მხოლოდ ძალიან მცირე მანძილზე - არაუმეტეს ათასი ფუტის (305 მ) არეალში. ამასთან დაკავშირებით, ამერიკულ კვლევით ცენტრებს დაევალათ ამ ემიტერების დიაპაზონისა და სიძლიერის მაქსიმალური გაზრდა. მეტიც, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ფოტონ-ნეიტრინების ნაკადებზე, რომლებიც გენერატორებში გამოყენებისას ბევრად უფრო მძლავრ იარაღად იქცევა. ბგერითი ან ელექტრომაგნიტური რხევებისგან განსხვავებით, ფოტონ-ნეიტრინო ნაკადებს პოტენციურად აქვთ პრაქტიკულად შეუზღუდავი გამტარიანობა და დიაპაზონი. ცნობილია, რომ თანამედროვე ემიტერებს შეუძლიათ შეაფერხონ თვითმფრინავებზე, რაკეტებსა და გემებზე დამონტაჟებული ელექტრონული მოწყობილობების მუშაობა. ანალოგიურად, მოწყობილობებმა, რომლებიც აფერხებენ ადამიანის ტვინის ელექტრომაგნიტურ იმპულსებს, შეუძლიათ გამოიწვიონ არაპროგნოზირებადი ქცევა და გარკვეულ გარემოებებში ადამიანი მორჩილ იარაღად გადააქციონ.

1999 წელს ნატოს საბჭომ მიიღო ეგრეთ წოდებული არალეტალური იარაღი - არალეტალური იარაღი **(NLM)**, იარაღთან ერთად ინფრაბგერითი გენერატორების გამოყენებით, რომლებიც ქმნიან არაბირთვული წარმოშობის ელექტრომაგნიტურ პულსს. ასეთი იარაღის გამოყენება არ რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებით. და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვაშინგტონი დაინტერესდეს მასზე ხელმოწერით, რადგან ამის შემდეგ ,,დემოკრატიული მთავრობა“ საცდელ ადგილებს დაკარგავს.

**მარიამ ჯანჯღავა**

# ს.ჰ.კ. „კათარზისის“ 2022 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

**„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ეს არის ყოველდღიური, სისტემატიური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.**

## ყოველდღიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, ინტერნეტ კაფე, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი, კაფე, ბიბლიოთეკა, არტ.თერაპიის ცენტრი, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, კინოდარბაზი, იურიდიული სამსახური, თეატრალური დარბაზი და მასთან არსებული ხანდაზმულთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ მის ვებ. გვერდზე, მისამართზე: Catharsis.ge და ფბ გვერდზე „კათარზისი catharsis“.

„კათარზისის“ 2022 წლის პროგრამული ანგარიში ასახავს კოვიდ პანდემიის გამო ორგანიზაციის საგანგებო მდგომარეობაში მუშაობის პროცესს, ხოლო 20 ოქტომბრიდან ჩვეულ რეჟიმში საქმიანობას.

## პანდემია და სტრუქტურული ცვლილებები

საქართველოში პანდემიის გამოცხადების შემდგომ საგანგებო მდგომარეობისა თუ სხვადასხვა შეზღუდვებიდან გამომდინარე, 2022 წელი გავიარეთ წინა ორი წლის შესაბამისად - არსებულ რეალობასთან ადაპტირებული კოლექტივით, ისე, რომ კვლავ შენარჩუნებული იყო პროცესების უწყვეტობა. ადგილზე შექმნილი იყო უსაფრთხო გარემო და დაცული კოვიდ-რეგულაციების ყველა მოთხოვნა. სპეციალურ სამუშაო ფბ ჯგუფში, იდებოდა ინფორმაცია ორგანიზაციაში მიმდინარე ყოველდღიური პროცესების შესახებ, შესრულებული ან დაგეგმილი სამუშაოების აღწერები, დავალებები, წარმოქმნილი პრობლემები და მათი მოგვარების გზები და შედეგები. საჭიროებიდან და სამუშაო მოთხოვნებიდან გამომდინარე კვლავ ვიმუშავეთ დისტანციურ და ნახევრად დისტანციურ რეჟიმზე. მიუხედავად სამსახურეობრივი თანამდებობისა, თანამშრომლები გადანაწილებულები იყვნენ: ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფში, გამცემ პუნქტში, ადმინისტრაციულ ნაწილში სამუშაოდ, საბუღალტრო, მომარაგების და სხვა სამსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. სასადილოს პერსონალი მუშაობდა ორ ჯგუფად, კვირამონაცვლეობით. სოციალური სამსახურების ხელმძღვანელები, სადაც ეს შესაძლებელი იყო, გადავიდნენ დისტანციურ მომსახურებაზე, რაც სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციებში გამოიხატებოდა (სახლის დედა, ექიმი, იურისტი, სავარჯიშო-სარეაბილიტაციო დარბაზის მეთოდისტი). დისტანციურ რეჟიმში მუშაობდა ორგანიზაციის მმართველი ორგანო „გამგეობა“, სადაც ხდებოდა ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. 2022 წლის 20 ოქტომბრიდან ქვეყანაში არსებული ეპიდ. სიტუაციისშესაბამისად და სახელმწიფო სამედიცინო სტრუქტურებთან კონსულტაციების გათვალისწინებით „კათარზისმა“ განაახლა ტრადიციული საქმიანობა - ყველა სოციალური სამსახური ამუშავდა ჩვეულ რეჟიმში.

## ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფი

პანდემიის რეჟიმზე მუშაობის დაწყებისთანავე 2022 წლის 20 ოქტომბრამდე ორგანიზაციაში მუშაობდა ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ოთხი თანამშრომლისაგან. ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც ევალებოდათ სისტემატიური კავშირი თითოეულ ხანდაზმულთან; აკონტროლებდნენ მათ მდგომარეობას, აწვდიდნენ მათთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, მოუწოდებდნენ კოვიდ უსაფრთხოების წესების დაცვისაკენ, იკვლევდნენ მათ საჭიროებებს და შეძლებისდაგვარად, ადმინისტრაციის ჩართულობით, ზრუნავდნენ გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაზე.

## სამადლო სასადილო

„კათარზისის“ უფასო სასადილო 1990 წლიდან ფუნქციონირებს და ხანდაზმულთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურია. ჩვენ ბენეფიციარებს ვთავაზობთ ნოყიერ და კალორიულ სადილებს. სპონსორის შემოწირულობით და ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით ერთი დღის სადილის თანხა 495 ლარს შეადგენს.

პანდემიის გამოცხადებიდან 20 ოქტომბრამდე ვმუშაობდით მომსახურების საგანგებო რეჟიმზე - მზა სადილები გაიცემოდა „ღია ფანჯრის“ პრინციპით. „კათარზისსა“ და კომპანიებს „გლოვოსა“ და „ვიზას“ შორის შეთანხმებების საფუძველზე, მათი მხრიდან სრულიად უსასყიდლოდ ხორციელდებოდა ხანდაზმულებისათვის ყოველდღიურად მზა სადილებისა და სამ კვირაში ერთხელ მშრალი პროდუქტების ნობათების ბინაზე მიწოდება. აღსანიშნავია, რომ თუ 2020 წლის დასაწყისში „კათარზისის“ ბენეფიციართა რაოდენობა 340 ადამიანს შეადგენდა, პანდემიის პერიოდში გაიზარდა მათი რაოდენობა და 2022 წლისათვის 520-მდე ავიდა. 20 ოქტომბრიდან სამადლო სასადილომ დაიწყო ბენეფიციარების ადგილზე მომსახურება. მთელი წლის განმავლობაში უფასო სასადილომ გასწია 102980-მდე მომსახურება. სპონსორების მიერ ფინანსდებოდა 1, 2, 3 და ა.შ. დღის სადილები. ისინი სტუმრობდნენ „კათარზისს“ და ესწრებოდნენ სადილების გაცემის პროცესს.

## მშრალი პროდუქტებით დახმარება

პანდემიის დაწყებისთანავე გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარებისთვის გარდა მზა სადილისა, უნდა შეგვეთავაზებინა საკვებით უზრუნველყოფის ალტერნატიული ფორმაც, კერძოდ, მშრალი პროდუქტები მათთვის, ვისაც სახლში მომზადების ელემენტარული პირობები მაინც ჰქონდა. ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფი ყოველთვიურად იკვლევდა საკვების მიწოდების რომელი ფორმა იყო მისაღები თითოეული ბენეფიციარისათვის იმ კონკრეტულ პერიოდში: ვის მზა სადილი ერჩივნა, ვის - მშრალი პროდუქტები. მშრალი პროდუქტებით დახმარების მსურველთა რიცხვი სხვადასხვა თვეში მერყეობდა 200-დან 250 ადამიანამდე. პროდუქტების ნობათი (მიეწოდებოდათ სამ კვირაში ერთხელ) შედგება 12-14 დასახელების, მათ შორის, საბაზისო პროდუქტისაგან (ზეთი, შაქარი, წიწიბურა, მაკარონი, ბრინჯი, ჰერკულესი, კარაქი, კვერცხი, შედედებული რძე, ძეხვი, თევზის კონსერვი, ტკბილეული, ხილი). გარდა ამისა, პერიოდულად ხანდაზმულს ვაწვდიდით ჰიგიენის საშუალებებსაც: საპონი, შამპუნი, სველი ხელსახოცი. სულ 2022 წლის განმავლობაში გაიცა მშრალი პროდუქტების 4500-ზე მეტი ნობათი.

## იურიდიული სამსახური

იურისტის საქმიანობა „კათარზისის“ ბენეფიციარების საკონსულტაციო საქმიანობით შემოიფარგლება. ამასთან, ის ასწავლის მათ განცხადების შესაგებლის, საჩივრის და სხვათა სწორად დაწერას, ურჩევს რა დოკუმენტები სჭირდებათ ამა თუ იმ დავების, სასამართლო პროცესების დროს. უწევს კონსულტაციებს საკუთარი უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე, რათა არ გახდნენ რაიმე ტიპის ძალადობის ან თაღლითობის მსხვერპლნი. 2022 წლის 20 ოქტომბრამდე იურიდიული სამსახური მუშაობდა დისტანციურად - იურისტი გასცემდა სატელეფონო კონსულტაციებს და საჭიროების მიხედვით ერთვებოდა ხანდაზმულთა სამართლებრივ დავებშიც. შემდგომ გაგრძელდა ბენეფიციართა მომსახურება ადგილზე. მთელი წლის განმავლობაში იურიდიულმა სამსახურმა გასწია 1000-ზე მეტი, ხოლო ოქტომბრიდან წლის ბოლომდე - 273 მომსახურება.

## სილამაზის სალონი

სალონი ეხმარება ხანდაზმულებს სისუფთავის და წესრიგის შენარჩუნებაში. სპექტაკლების, კონკურსების, სხვა ღონისძიებების დროს მათ სადღესასწაულო ვარცხნილობებს და შესაბამის მაკიაჟს უკეთებენ. სალონი მთელი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ხანდაზმულებს. 2022 წელს აღრიცხულია 950-მდე მომსახურება.

## ჰიგიენური მომსახურება

სათნოების სახლში ვერ მოეწყობა აბანო, ამიტომ ხანდაზმულებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოსაგვარებლად ხელშეკრულება გაფორმებულია ქალაქის აბანოსთან („ნარიყალა“), სადაც ხანდაზმულები სარგებლობენ მომსახურებით, ხოლო „კათარზისი“ იხდის მის საფასურს. 2022 წლის განმავლობაში ამ სფეროში ეტაპობრივი შეზღუდვების გათვალისწინებით 2100-ზე მეტი მომსახურეობა გაეწია ხანდაზმულებს.

## ექიმი

საექიმო კაბინეტი და უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს „კათარზისის“ მომსახურებით, აგრეთვე, სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს. აქ ხორციელდება პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა. რთული შემთხვევების დროს ექიმი იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას და ხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაცია. აგრეთვე, პერიოდულად ხორციელდება ხანდაზმულთა უფასო გამოკვლევები სამედიცინო დაწესებულებებში ინდივიდუალური მიმართვების გზით. 2022 წლის 9 თვის განმავლობაში სამედიცინო სამსახურმა სატელეფონო კონსულტაციების სახით 1960 მომსახურება გასწია, ხოლო ბენეფიციარების ადგილზე მომსახურების დაწყებიდან, ექიმთან ვიზიტების რაოდენობამ 1035 შეადგინა.

## თავშესაფარი

თავშესაფარი ფუნქციონირებს იმ ხანდაზმული ქალბატონებისათვის, ვისაც ბინის პრობლემა აქვს (14 ადგილი). ხანდაზმულები სარგებლობენ კომპლექსის ყველა სერვისით, მათ სამჯერადი კვება და ყოველდღიური საექიმო მომსახურება აქვთ, უტარდებათ სიმღერისა და ცეკვის, არტ. თერაპიის გაკვეთილები, პერიოდულად დადიან ექსკურსიებზე. ბებიებს ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ ხელოვნების კოლექტივები. პანდემიის გამოცხადებისთანავე თავშესაფარი გადავიდა „კარანტინის“ რეჟიმზე. შეიზღუდა უცხო პირებისა და სტუმრების მიღება. იქ მყოფ ბებიებს ყველა პირობა აქვთ უსაფრთხო და ჯანსაღი ცხოვრებისათვის: ონლაინ გადიან გამამხნევებელ ვარჯიშებს, არტ. თერაპიის სეანსებს; აქვთ შესაძლებლობა ისეირნონ სუფთა ჰაერზე „კათარზისის“ ეზოში.

## კინოდარბაზი

პანდემიის დაწყებიდან 2022 წლის 20 ოქტომბრამდე კინოდარბაზს ჰქონდა შეცვლილი ფუნქცია და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით გადაკეთებული იყო ე. წ. „გამცემ პუნქტად“, საიდანაც ხორციელდებოდა მზა სადილების, მშრალი პროდუქტების, აბანოსა და სალონის ბარათების გაცემა, როგორც „გლოვოს“ კურიერების, ისე მოსული ხანდაზმულებისათვის. საჭიროების შემთხვევაში აქედანვე ხდებოდა ხანდაზმულებთან უშუალო კონტაქტი „ღია ფანჯრიდან“ დისტანციისა და წესების სრული დაცვით. 20 ოქტომბრიდან კინოდარბაზი ჩვეულ ფუნქციას დაუბრუნდა და ხანდაზმულები სასურველ ფილმებს და გადაცემებს უყურებენ.

## მწოლიარეთა დახმარება

მწოლიარე ხანდაზმულებს თვეში ერთხელ ბინაზე მიეწოდება აუცილებელი, პირველადი საჭიროების მშრალი პროდუქტი (12-14 დასახელების), პირველადი მოხმარების ნივთები. ეს ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ დღის ცენტრის მომსახურებით და შემდეგში გადაადგილების უნარი შეეზღუდათ. 2022 წელს მწოლიარე ხანდაზმულების დახმარება სრულფასოვნად გრძელდებოდა და 390-ჯერ გაეწია მომსახურება.

## სადილი ყველას

2022 წლის ოქტომბრიდან გაგრძელდა პროექტი „სადილი ყველას“, რომლის მიზანია ყველა იმ ადამიანის დაპურება, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა: ხანდაზმულები, დევნილები, მრავალშვილიანები, ე.წ. „ქუჩის ბავშვები“, ყველა მსურველი. ღონისძიებამდე 5-6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ბანერი წარწერით - „სადილი ყველას“ (სურვილისამებრ მას ებმება აქციის სპონსორის ლოგო), რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი.

2022 წელს 14 ნოემბერს კომპანია „ავერსმა“ საკუთარი დაბადების დღეზე 1500-მდე სოციალურად დაუცველ ადამიანს შესთავაზა ცხელი სადილი (ბიუჯეტი - 6494,5 ლ.).

## სასაჩუქრე ნობათები ბებია-ბაბუებს

პროდუქტების პირველი ნობათი (12-14 დასახელების პროდუქტი) გავეცით საშობაოდ და ძველით ახალი წლისათვის, კომპანია „ავერსისა“ და შპს „ტექნოჰაუსის“ სპონსორობით (ბიუჯეტით 6579 ლ.). სააღდგომოდ (პასკით, შეღებილი კვერცხით) კვლავ „ავერსის“ და ს.ს. „თელასის“ დაფინანსებით (ბიუჯეტი - 6907,50 ლ.). ივნისის თვის პროდუქტების სპონსორი იყო ს.ს. „საქართველოს რკინიგზა“ (ბიუჯეტი - 6952,5 ლ.), ივლისსა და აგვისტოში - შპს „ჯეოსთილი“ (ბიუჯეტი - 4950 ლ.); ოქტომბერში - დამფინანსებელი იყო კომპანია „პსპ ფარმა“ (ბიუჯეტი - 4950 ლ.), ხოლო დეკემბერში საახალწლო ნობათის სპონსორი იყო შპს ს.ს. „თელასი“ (ბიუჯეტი - 6500 ლ.). სასაჩუქრე პაკეტებისათვის მთელი წლის განმავლობაში საკუთარი პროდუქციით გვამარაგებდა „აი დი ეს ბორჯომი“, ხოლო კვერცხით - „კუმისი“. კომპანია „ზღაპარი“ 2022 წლის განმავლობაში ყოველთვიურად გვამარაგებდა მშრალი პროდუქტებით 2000 ლარის ფარგლებში. პროდუქტების მიწოდება ხდებოდა „გლოვოს“ კურიერების მეშვეობით და „ღია ფანჯრის“ პრინციპით.

## 9 მაისი

„კათარზისი“ ყოველი წლის 9 მაისს ულოცავს მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს: იმართება საკონცერტო ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც ხანდაზმულთა, ისე მოწვეული სასიმღერო თუ საცეკვაო გუნდები. პანდემიის გათვალისწინებით, 2022 წლის 9 მაისს ჩვენს ბენეფიციარ 4 ვეტერანს ბინაზე ვეწვიეთ საჩუქრებით: გადავეცით ფულადი დახმარებები (500-500 ლარი თითოეულს), კვების პროდუქტებისა და პირველადი მედიკამენტების პაკეტები.

## 100 წლის იუბილე

იოსებ ტუხაშვილი გახდა „კათარზისის“ წევრი მესამე ხანდაზმული 32 წლიანი ისტორიის მანძილზე, რომელსაც 100 წელი შეუსრულდა. 2022 წლის 3 იანვარს პანდემიის გათვალისწინებით და ყველა წესის დაცვით სახლში ვეწვიეთ იუბილარს. დღეგრძელ ხანდაზმულს გადავეცით საჩუქრები, საიუბილეო ტორტი და 500 ლარი ფულადი პრემია „კათრაზისისაგან“.

## დახმარება უკრაინელებს

უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე „კათარზისი“ აქტიურად ჩაერთო ჰუმანიტარული დახმარების პროცესში: მოგროვდა და გაიგზავნა ტვირთის საკმაოდ მოცულობითი რაოდენობა: ტანსაცმელი (როგორც თბილი, ისე საზაფხულო), პლედები, პირველადი მოხმარების ნივთები. გარდა ამისა, უკრაინიდან ლტოლვილები სარგებლობენ ყველა იმ სოციალური სამსახურით, რომელსაც „კათარზისი“ თავის ბენეფიციარებს სთავაზობს: სადილი, ტანსაცმელი, ექიმის, იურისტის, სალონისა და აბანოთი მომსახურება და ა.შ. 2022 წლის განმავლობაში მომსახურება გავუწიეთ უკრაინიდან ლტოლვილ 145 მოქალაქეს. დახმარების პროცესი კვლავ გრძელდება.

## ალტერნატიული ჯარი

2007 წლიდან საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული ხელშეკრულების საფუძველზე „კათარზისში“ ალტერნატიულ სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის ათეულობით ახალგაზრდა. სამხედრო მოსამსახურეები (სათნოების ძმები) მონაწილეობენ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობასა და პროექტებში. სათნოების ძმები მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ყველა იმ საქმიანობაში, რომელიც აქტუალური იყო კონკრეტული პერიოდისათვის - მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ ბებია-ბაბუებთან ბინაზე მიჰქონდათ მზა სადილები და მშრალი პროდუქტები, ისინი ასრულებდნენ ნებისმიერი ტიპის ფიზიკურ სამუშაოებს, მონაწილეობას იღებდნენ შეძენილი და შემოწირული პროდუქტების დატვირთვა-დაცლასა და დაფასოებაში და ა.შ. 2022 წლის განმავლობაში სამსახურს გადიოდა 18 წვევამდელი.

## განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

2016 წლიდან ხორციელდება „კათარზისსა“ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი პროექტი სახელწოდებით - „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც პირები, რომელთაც მიესაჯათ პირობითი სასჯელი, ყოველდღიურად, სამინისტროს კურატორთან ერთად მოდიან „კათარზისში“ და ემსახურებიან ხანდაზმულებს. 2022 დლის 20 ოქტომბრიდან მათმა რიცხვმა 55 - 100 შეადგინა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის განსაზღვრული საათების შესაბამისად.

## მემორანდუმი GWP-სთან

2022 წლის აგვისტოდან კვლავ გაგრძელდა ერთწლიანი მემორანდუმი „კათარზისსა“ და GWP-ს შორის, რომლის ფარგლებშიც GWP ფარავს „კათარზისის“ მიერ გახარჯული წყლის ყოველთვიური ხარჯიდან 700 ლარს.

## ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია „კათარზისი“ აწარმოებს, არის ფართების გაქირავება. დღეისათვის იჯარით გაცემული გვაქვს 98 კვ. მ. ფართი, რომლიდანაც 2022 წლის შემოსავალმა შეადგინა 65228,98 ლარი.

2022 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია: პროგრამული ანგარიში გაწეული საქმიანობისა და მიღებული შემოსავლების შესახებ, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) განთავსებულია „საერთო გაზეთში“ (N10, 29 მარტი, 2023 წ.).

ასოციაციის პრეზიდენტი
**ზაურ ალადაშვილი**

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის კათარზისის მფლობელებს და მენეჯმენტს

### მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ სჰკ კათარზისის (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ანგარიშს ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები") შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების („ფასს"-ების) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სჰკ კათარზისის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს"-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

### აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

• მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;

• საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;

• ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და

• ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - 'აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე' - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სჰკ "კათარზისი"-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს - ის შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

### აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, როგორც ISA-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

• ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.

• შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან,

მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.

• გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.

• დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირობის უწყვეტობის საფუძვლის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

• ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია **მალხაზ უჯმაჯურიძე** (სარეგისტრაციო ნომერი saras-a-965206).

**„შპს იგალ"-**ის სახელით.
თბილისი, საქართველო
22 მარტი, 2023

## სჰკ „კათარზისის" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (2022 წლის 31 დეკემბერი)

| | შენიშვნები | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება | 5 | 117,757 | 128,478 |
| არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება | 5 | 189 | 219 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | - | 1,829 |
| **მთლიანი გრძელვადიანი აქტივები** | | **117,946** | **130,526** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| მარაგები | 6 | 58,173 | 30,933 |
| მოკლევადიანი მოთხოვნები | 7 | 4,835 | 4,949 |
| გაცემული ავანსები | | 471 | 641 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 8 | 270,458 | 412,487 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | 808 | 1,206 |
| **მთლიანი მიმდინარე აქტივები** | | **334,745** | **450,216** |
| **სულ აქტივები** | | **452,691** | **580,742** |
| **ვალდებულება და კაპიტალი** | | | |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | 9 | 3,567 | 3,063 |
| შრომის ანაზღაურება | | 2,229 | 4,523 |
| მიღებული ავანსები | | 2,466 | - |
| **მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **8,262** | **7,586** |
| **მთლიანი ვალდებულებბი** | | **8,262** | **7,586** |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 30,391 | 30,391 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი | | (128,727) | 62,388 |
| რეზერვები და დაფინანსება | | 523,040 | 460,652 |
| ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი | | 19,725 | 19,725 |
| **მთლიანი კაპიტალი** | | **444,429** | **573,156** |
| **მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი** | | **452,691** | **580,742** |

## მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება (2022 წლის 31 დეკემბერი)

| | შენიშვნები | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| საქველმოქმედო შემოსავლები | 10 | 1,133,500 | 1,054,198 |
| ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები | 12 | (513,906) | (385,745) |
| ცვეთის ხარჯი | | (20,724) | (25,418) |
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება | 11 | (735,317) | (580,825) |
| **შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან** | | **(136,447)** | **62,210** |
| კურსთა შორის სხვაობა (შემოსავალი)/ხარჯი | | (70) | (781) |
| **ფინანსური ხარჯი** | | **(70)** | **(781)** |
| საპროცენტო შემოსავალი | | - | 334 |
| **ფინანსური შემოსავალი** | | **-** | **334** |
| **შედეგი ფინანსური საქმიანობიდან** | | **(70)** | **(447)** |
| სხვა შემოსავალი | | 7,790 | 23,365 |
| სხვა ხარჯები | | (0) | (22,740) |
| **მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **(128,727)** | **62,388** |
| მოგების გადასახადი | | - | - |
| **გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის** | | **(128,727)** | **62,388** |

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (2022 წლის 31 დეკემბერი)

| | საწესდებო კაპიტალი | საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი | რეზერვები და დაფინანსება | ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი, 2020** | **30,391** | **-** | **460,652** | **19,725** | **510,768** |
| მოგება წლის განმავლობაში | - | 62,388 | - | - | **62,388** |
| რეზერვები და დაფინანსება | - | (62,388) | 62,388 | - | - |
| **31 დეკემბერი, 2021** | **30,391** | **-** | **523,040** | **19,725** | **573,156** |
| მოგება წლის განმავლობაში | - | (128,727) | - | - | **(128,727)** |
| რეზერვები და დაფინანსება | - | 128,727 | (128,727) | - | - |
| **31 დეკემბერი, 2022** | **30,391** | **-** | **394,313** | **19,725** | **444,429** |

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება (2022 წლის 31 დეკემბერი)

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| მიღებული ფულადი სახსრები | 985,617 | 948,800 |
| მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები | (343,024) | (216,967) |
| თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები | (642,448) | (533,638) |
| გადახდილი გადასახადები | (132,237) | (88,163) |
| *სხვა* | 36 | (2) |
| **წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან** | **(132,056)** | **110,030** |
| **საინვესტიციო საქმიანობები** | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (9,973) | (2,788) |
| **წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან** | **(9,973)** | **(2,788)** |
| **წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან** | **-** | **-** |
| **წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)** | **(142,029)** | **107,242** |
| **ფული და ფულის ექვივალტები პერიოდის დასაწყისში** | **412,487** | **305,245** |
| **ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს** | **270,458** | **412,487** |

# ორი ღონისძიება ერთ სივრცეში



ხალხმრავლობა იყო 21 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, მეორე სართულის დერეფანში გაიგონებდით წიწვწივაძეების ცნობილი გვარის ორი გამორჩეული წარმომადგენლის — თენგიზ და თამაზ წიწვწივაძის სახელებს, მოისმენდით საუბარს ქიმიასა და ლიტერატურაზე....

შეკრებილთა შორის შეამჩნევდით მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, ლიტერატორებს და ლიტერატურის მოყვარულებს. გასაკვირი არც იყო, რადგან იქ იმ დღეს ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება იმართებოდა — უნდა გახსნილიყო ღვაწლმოსილი მეცნიერის, თენგიზ წიწვწივაძის სახელობის აუდიტორია და ჩატარებულიყო თამაზ წიწვწივაძის ფონდის მიერ დაარსებული თამაზ წიწვწივაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ გამარჯვებულთა დაჯილდოვება.

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ წიწვწივაძე 50 წელზე მეტხანს მუშაობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში. ის 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, ხუთი მონოგრაფიის, 12 სახელმძღვანელოს ავტორი და ქიმიკოსთა არაერთი თაობის აღმზრდელია.

თენგიზ წიწვწივაძის სახელობის აუდიტორიის გახსნაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა დავით გურგენიძემ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ, მწერალმა ნუგზარ წერეთელმა, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა რამაზ ხუროძემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ომარ გოცაძემ, დრამატურგმა რეზო კლდიაშვილმა, პოლიტოლოგმა იგორ კვესელავამ. გამომსვლელებმა ისაუბრეს თენგიზ წიწვწივაძის, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის ღვაწლზე, მასზე, როგორც პიროვნებაზე.



თენგიზ წიწვწივაძის სახელობის აუდიტორია ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის მხარდაჭერით გაიხსნა.

აუდიტორიის გახსნას თამაზ წიწვწივაძის სახელობის ლიტერატურული პრემიის „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ ლაურეატთა დაჯილდოვება მოჰყვა. მრავალრიცხოვან სტუმართა შორის რეგიონებიდან ჩამოსულებიც იყვნენ...

კონკურსში, რომელიც წელს უკვე მეორედ ჩატარდა, ორმოცამდე კონკურსანტი იღებდა მონაწილეობას. ხუთ ნომინაციაში სამ-სამი ფინალისტი გამოვლინდა, რომელთაგან ჟიურიმ (**მზია ხეთაგური** — თავმჯდომარე, **ნინო ქუთათელაძე, ეკა ბაქრაძე, ციცინო ბაბუციძე, ივანე ამირხანაშვილი**) თითო გამარჯვებული დაასახელა.

თამაზ წიწვწივაძის სახელობის პრემიის ლაურეატები „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ 2022 წელს გამოქვეყნებული ნაწარმოებებისთვის გახდნენ:

საუკეთესო პოეტური ნაწარმოებისთვის — **ბადრი სულაძე;**

საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისთვის — **გულო კობიაშვილი;**

საუკეთესო კრიტიკული წერილისთვის — **ჟაკლინ სირაძე;**

საუკეთესო პუბლიცისტური წერილისთვის — **რობერტ ოდიკაძე;**

საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის პრემია გადაეცა **ლალი ჯაფარაშვილს.**

ღონისძიების დასასრულს დოდო წიწვწივაძემ ოჯახის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და სტუმრებს მისი ძმების — თენგიზ და თამაზ წიწვწივაძეების ხსოვნის პატივისცემისა და დაფასებისთვის. მან, ასევე, გამარჯვება მიულოცა პრემიის ლაურეატებს, წარმატებები უსურვა მათ და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში კონკურსს უფრო მეტი ღირსეული მონაწილე ეყოლება.

ცერემონიაზე აღინიშნა კონკურსის ფინალისტების ნაწარმოებები, რომელთა შორის იყვნენ **მარინე ტურავა, გიზო ზარნაძე, მირონ ხერგიანი, ლუკა ყაულაშვილი, ამირან ჯმუხაძე, როლანდ გიორგაძე, შალვა საბაშვილი...** ჟიურის წევრებს ყურადღების მიღმა არც პოეტ **დავით ახლოურის** ლექსები დარჩენიათ.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

# ვლადიმერ ალფენიძე – ერის სასიქადულო შვილი

მიმდინარე წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს ინიციატივით ჩატარდა **ვლადიმერ (ლადო ბახტრიონელი) ალფენიძისადმი** მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენცია გახსნა და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი **ჯ. გამახარია.**

კონფერენციის დასაწყისში წარმოდგენილ იქნა ვლადიმერ ალფენიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოკლე, მაგრამ საკმაოდ ტევადი ვიდეომასალა.

ვლადიმერ ალფენიძე დაიბადა 1937 წლის 3 მარტს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში. მას დამთავრებული აქვს მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. როგორც თანამედროვეები იხსენებენ, მწერლობაში მას გზა დაულოცა ცნობილმა პოეტმა-აკადემიკოსმა **გიორგი ლეონიძემ.**

პირველი პოეტური ნაწარმოები „საახალწლო ზღაპარი“ ვლ ალფენიძემ გამოაქვეყნა 1954 წელს, ლექსების პირველი კრებული, „მთები და სიჭაბუკე“ — 1963 წელს. მისი მხატვრული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია მოთხრობების კრებული „ოცდაცამეტი მზის სახოვანი ბრძენი იაკობი“ (1976), რომანები: „ცურტავის ზარები“ (1978), „სიყვარული და უკვდავება“, ტრილოგია: „დუელი მგლის ველზე“ (1980), „მწვერვალები და უფრსკულები“ (1981), „სიკვდილი ქრისტეს ასაკში“ (1982). რომანების, ლექსებისა და მოთხრობების კრებული: „საწუთრო“ (1988), პუბლიცისტური წიგნები „პორტუგალიური დღიურები“ (1979), „ბრაზილიური დიალოგები“ (1980). მისი ნაწარმოებები თარგმნილია უცხოურ ენებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ვრცელი მოხსენება ვლ. ალფენიძის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა ცნობილმა მწერალმა და პოეტმა, ჟურნალ „კირბის“ (ოქროს საწმისი) რედაქტორმა **გულადი (გური ოტობაია) ფეტელავამ,** რომელმაც აღნიშნა, რომ ვლადიმერ ალფენიძე იმდენად მრავალპლანიანი, მრავლისმომცველი პიროვნება გახლავთ, რომ ერთ გამოსვლაში ამის თუნდაც მიახლოებითი გადმოცემაც კი შეუძლებელია; ისაუბრა იმ შემოქმედებით ურთიერთობაზე, რომელიც მას მწერალთან ჰქონდა. გაიხსენა ახლობლებისა და, ზოგადად, თანასოფლელების დამოკიდებულება ვლადიმერის მიმართ.

ვლ. ალფენიძესთან დაკავშირებული მოგონებებით გამოვიდნენ მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მკვლევარები: **ბაკურ გულუა, რამინ ქეცბაია, იგორ კვესელავა, ტიტე მოსია, სოსო სიგუა** და **ჯემალ გაბელია; გია კვაშილავა, რაულ ჩილაჩავა პეტრე მამრაძე.** მათ ისაუბრეს მასზე, როგორც პატიოსნებით გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწეზე, რომელიც თავისი დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობებით საკუთარ სამშობლოს უანგაროდ ემსახურა.

თანასოფლელების სახელით გამოვიდა **ზ. კვირტია,** რომელმაც გაიხსენა ოტობაიასა №1 საშუალო სკოლაში ვლ. ალფენიძის სწავლის პერიოდი; ცნობილი ნეიროქირურგის, **ნაპოლეონ მესხიას** მისალმება დამსწრეთ გააცნო სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა **იური პაპასკუამ.** ნაჩვენები იქნა ვიდეო ჩანახატი ვლ. ალფენიძის შემოქმედების შესახებ.

კონფერენციაზე, რომელმაც სამეცნიერო-მხატვრული სახე მიიღო, ახალგაზრდა მსახიობმა თ. ბერაძემ წაიკითხა ვლ. ალფენიძის ლექსები; გაჟღერდა კომპოზიტორ **ნ. გაბუნიას** მიერ ვლადიმერ ალფენიძის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს სამეცნიერო და შემოქმედებითი წრეების წარმომადგენლები, აფხაზეთის ა/რ მთავრობის ოფიციალური პირები, ვლ. ალფენიძის ახლობლები, მეგობრები, თანასოფლელები.

დასასრულ, ვლადიმერ ალფენიძის ვაჟიშვილმა, **გიორგი ალფენიძემ** დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო მამის ქართველი ხალხისთვის დანაბარებზე და დიდი მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებსა და სტუმრებს.

გური ოტობაია



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი);
ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99